პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
ყოველკვირეული ორგანო

№ 27 (80), პარასკევი, 17 აგვისტო, 1945 წ. ფასი 1 მან.

დღეს ნომერში

— ახალგაზრდა ავტორებთან მუშაობა (მოწინავე).
— ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ოცდაათი წლისთავის აღსანიშნავი საღამოები.
— **ნიკოლოზ ჩაჩავა**—ზღვის პირად (ლექსი).
— **მიქელ პატარიძე**—სადღეგრძელო (ლექსი).
— **ლადო დონაძე** — შ. მშველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადაური“.
— **დიმიტრი ბენაშვილი**—ვაჟა-ფშაველა.
— **გერონტი ქიქოძე** — ვაჟა-ფშაველას შემოქმედება.
— **გიორგი გიასელი** — ვაჟა-ფშაველა [illegible]რეთში (ლექსი).
— **მაყვალა მრევლიშვილი** — ჩარგალში.
— **დავით შამათავა** — [illegible] ლექსები.
— **პარმენ ჭანიშვილი** — [illegible] დრამატურგიისათვის.
— **ბესარიონ ჟღენტი** — „ტირიფის ქვეშ“.
— **პანტელეიმონ ბერაძე** — ესოპეს იგავების გამოცემის გამო.
— რაიონული თეატრების დათვალიერება.
— ქრონიკა და ინფორმაცია.

ახალგაზრდა ავტორებთან მუშაობა

უკანასკნელ ხანებში ლიტერატურულ პრესაში და საჯარო ლიტერატურულ დისკუსიებზე გახშირდა და გაცხოველდა ლაპარაკი ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებასა და მათთან მუშაობის შესახებ. ახალგაზრდა მწერლების დახმარება და კონსულტაცია გააძლიერეს აგრეთვე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პოეტებისა და პროზაიკოსების სექციებმა, რასაც ძლიერ კარგი ნაყოფი მოჰყვა: ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდნენ ახალი ძალები. მაგრამ ახალგაზრდა ავტორების დაწინაურება და შემოქმედებითი ზრდა მაინც არ ხდება ისეთი ტემპით, როგორც ამას ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ინტერესი მოითხოვს.

მწერლობისადმი მისწრაფება ახალგაზრდათა შორის, სურვილი იმისა, რომ მხატვრული სიტყვით გამოსთქვან ის, რაც საბჭოთა ადამიანებმა დიდ სამამულო ომში განიცადეს, დიდია; ამას მოწმობს ის უამრავი ლექსი, მოთხრობა, ნარკვევი, რომელიც ყოველდღიურად მოდის ჩვენი ჟურნალ - გაზეთების რედაქციებში. ამ ხელნაწერების ავტორები არიან არა მარტო მასწავლებლები, სტუდენტები, საშუალო სკოლის მოწაფეები, არამედ ფრონტელი მებრძოლებიც.

ზოგჯერ ამ ხელნაწერებში შეხვდებით საინტერესო ამბებს, მახვილი თვალით დანახულ ფაქტებს, ომის მონაწილეთა უშუალო შთაბეჭდილებებს, მათ სულიერ განცდებს, ბევრს ისეთ მომენტს, რაც ცხოველ და უტყუარ წარმოდგენას გვაძლევს დიდი სამამულო ომის პერიპეტიებზე, ომის მონაწილეთა სულიერ მღელვარებასა და დაძაბულობაზე, მათ ფიზიკურ და მორალურ ძალაზე. ავტორებს მდიდარი, ცოცხალი შთაბეჭდილებანი აქვთ, მათ უნახავთ და იციან ის, რის გადატანაც ქაღალდზე, რის გამოქვეყნებაც ფართო მასიური მკითხველისათვის ძალიან საინტერესო იქნება. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ნიჭიერ ახალგაზრდა დამწყებ მწერლებს შევუქმნათ ყველა პირობა, რათა ისინი ნამდვილი, კვალიფიციური მწერლის დონემდე ამაღლდნენ ლიტერატურულ ტექნიკის თვალსაზრისითაც.

რა არის ამისათვის საჭირო? ხელნაწერების დიდი ნაწილი ლიტერატურულად დაუმუშავებელ, გაუმართავ, სრულიად ნედლ მასალას წარმოადგენს. ხანგრძლივი ჩაჯდომა, ხელნაწერზე გულმოდგინე მუშაობაა საჭირო, რომ მას მხატვრული ფორმა მიეცეს, რომ მან დასრულებული ლიტერატურული ნაწარმოების სახე მიიღოს. ხშირად ასეთი ნედლი მასალის დამუშავება მოითხოვს ავტორთან თანამშრომლობას, მასთან უშუალოდ ცოცხალ გამოსაუბრებას, მის გამოკითხვას დამატებითი დეტალების მისაღებად. ახალგაზრდა ავტორების ხელთნაწერებზე მუშაობა რთული, სერიოზული საქმეა; სირთულე მარტო იმაში კი არ არის, რომ ხელნაწერი ისე გაასწორო, რომ დასაბეჭდად გამოდგეს, არამედ იმაში, რომ ავტორი უნდა შეაჩვიო მხატვრული წერის ოსტატობას, განუვითარო მას ფორმის გრძნობა, დაუწმინდო და გაუფაქიზო ლიტერატურული გემოვნება, იმდენად აამაღლო მისი კვალიფიკაცია, რომ შემდეგ სხვისგან დამოუკიდებლად შესძლოს ლიტერატურული მუშაობა.

კარგად მოიქცნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სექციები, რომლებმაც ახალგაზრდა ავტორების დასახმარებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამოიყენეს ცნობილი პოეტების და პროზაიკოსების გამოცდილება. გამომცემლობებმაც ახალგაზრდა ავტორების დასახმარებლად ჩვენი მოწინავე მწერლები უნდა მოიშველიონ. ყოველმა ჩვენმა გამოცდილმა მწერალმა უნდა იკისროს ერთი რომელიმე დამწყები ნიჭიერი ავტორის შეფობა. ნიჭიერი ახალგაზრდა ლიტერატორის აღზრდა და სამწერლო სარბიელზე მისი გამოყვანა უნდა გადაიქცეს ყოველი ჩვენი დამსახურებული მწერლის სახელისა და ღირსების საქმედ.

მწერალთა კავშირს შეუძლია უფრო ფართოდ დააყენოს ეს საქმე და, როგორც სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი მ. გორკი გვირჩევდა, მოაწყოს დამწყებ მწერლებისათვის ლიტერატურული ტექნიკის სემინარები. საამისო ძალები ჩვენს ორგანიზაციას საკმაოდ მოეპოვება, იქ უნდა იკითხებოდეს ლექციები ქართულ ლიტერატურული ენის შესახებ, ეგრეწოდებულ „ხალხურ ენასთან“ დაკავშირებით, აგრეთვე ლექციები ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ რუსული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებით. ასეთი ლექციები ნათელ წარმოდგენას მისცემს ახალგაზრდა ავტორს შემოქმედებითს მუშაობაზე.

დღემდე ძალაში რჩება ის, რაც ამ ხუთმეტი წლის წინათ სთქვა მაქსიმ გორკიმ: „ჩვენ დაგვიგროვდა დიდძალი ცოცხალი, პრაქტიკული საქმე. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი საქმეა ახალგაზრდა დამწყები მწერლების შეიარაღება ოსტატობის ცოდნით, ლიტერატურული ტექნიკის ცოდნით. ახალგაზრდა მწერლები დრამატიულ მდგომარეობაში იმყოფებიან: სწადიათ სწავლა, საჭიროებენ სიტყვიერი შემოქმედების ხერხების ცოდნას, მაგრამ მასწავლებელი არსად სჩანს. ჟურნალების რედაქციები ახალგაზრდებს უბრუნებენ ხელნაწერებს შენიშვნით „სუსტია, არ გამოდგება;“ „მოისუსტებს, მაგრამ არის კარგი ადგილები“; „ისწავლეთ, იმუშავეთ თავის თავზე“, „ნაკლებ ორიგინალურია, შაბლონია!“ „ისწავლეთ ტექნიკა“. — ეს სიტყვები არაფერს ეუბნებიან დამწყებ ავტორებს. ეს ახალგაზრდების სწავლება კი არ არის, არამედ შეურაცყოფილთა და უკმაყოფილოთა ფაბრიკაცია!“

ჩვენი ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, გამომცემლობანი, მოწოდებულნი და ვალდებულნი არიან გორკისებური გულისხმიერებით მოეკიდონ ახალგაზრდა ავტორებს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც თან მოაქვს ახალი გამოცდილება, სამშობლოსათვის ჭირნახული მებრძოლის დიდი გამოცდილება, სულიერი სიმდიდრე იმ ადამიანისა, რომელსაც თავს ბევრი რამ გადახდა და, მაშასადამე, ბევრი რამეც აქვს სათქმელი.

კონკურსი საუკეთესო საბავშვო პიესაზე

მოზარდთა თეატრებისათვის პიესების კონკურსზე წარმოდგენილი პიესების განსახილველად და პრემიების მისანიჭებლად ხელოვნების საქმეთა სამმართველომ დაამტკიცა ჟიური შემდეგი შემადგენლობით: ვ. მგალობლიშვილი (ხელ. საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე—ჟიურის თავმჯდომარე), დ. ბენაშვილი (ხელ. საქმეთა სამმართველოს რეპერტუარისა და სანახაობათა კონტროლის განყოფილების უფროსი), გ. ბუხნიკაშვილი (ხელ. საქმეთა სამმართველოს სათეატრო განყოფილების უფროსი), ა. ვასაძე (სსრკ სახალხო არტისტი, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), ა. თაყაიშვილი (რესპ. სახალხო არტისტი, მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), დ. მჭედლიშვილი (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი), გ. ნატროშვილი (გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქტორი), ს. ჩიქოვანი (საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე), დ. ჯანელიძე (თეატრალური კრიტიკოსი).

კონკურსზე პიესების მიღება იწარმოებს პირველ ნოემბრამდე.

„დეილი უორკერი“ საბჭოთა პოეზიის შესახებ

მიმდინარე წელს ამერიკულმა გაზეთმა „დეილი უორკერმა“ მოათავსა ალან მორეი უილიამსის ვრცელი წერილი საბჭოთა პოეზიის საკითხებზე. ამ წერილში ავტორი სწერდა:

„სამხედრო პოეზია თამაშობს დიდ როლს საბჭოთა ხალხის ეპიურ ბრძოლაში ნაცისტური დამპყრობლების წინააღმდეგ, უფრო დიდ როლს, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ინგლისში, სადაც პოეზია ჯერ ისევ განიხილება, როგორც რაღაც უცხო უბრალო ადამიანისათვის. ნ. ტიხონოვის, კ. სიმონოვის, მ. ალიგერის, ა. სურკოვის და სხვათა პოეზია არა მხოლოდ ნათლად გამოხატავს ომის სხვადასხვა ეტაპებს,—იგი წარმოადგენს შთაგონების დაუშრეტელ წყაროს როგორც მებრძოლებისათვის, ისე სამოქალაქო პროფესიის ადამიანთათვის. საბჭოთა პოეზია, მისდევს რა ტრადიციას რუსული კომუნიზმის დიდი პოეტის მაიაკოვსკისას, რომელსაც სურდა კალამი ხიშტთან გაეთანაბრებინა,—ამახვილებს საზოგადოებრივ ყურადღებას ამა თუ იმ ეტაპის უმნიშვნელოვანეს ამოცანებზე“.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი
ამხ. ს. ჩიქოვანს

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი შესანიშნავი პოეტის ვაჟა-ფშაველას ხსოვნის დღეებში ძმურ სალამს უძღვნის ქართველ მწერლებს—მგზნებარე, ვაჟკაცური სულის პოეტის — ვაჟას შემოქმედებითი მემკვიდრეებს.

ნ. ტიხონოვი.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 30 წლისთავი

საღამო თბილისში

9 აგვისტოს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში შესდგა დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საზეიმოდ მორთულ სცენის ცენტრში მოთავსებულია ყვავილებით შემკული ვაჟას დიდი პორტრეტი.

პრეზიდიუმში სხედან ა. აბაშელი, ლ. ქიაჩელი, გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, ს. შანშიაშვილი, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, ი. მოსაშვილი, კ. ჭიჭინაძე, ვ. გოლცევი, რ. გვეტაძე, ბ. ჟღენტი, ს. ფაშალიშვილი, ი. გრიშაშვილი, ი. ტუსკია, ნ. ვაჩნაძე, მ. თოიძე, ლ. გუდიაშვილი და სხვები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა ა. აბაშელმა, რომელმაც აღნიშნა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უდიდესი მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის.

მოხსენება თემაზე—„ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხა გ. ქიქოძემ. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა და ცხოვრებისადმი მიძღვნილი სიტყვები წარმოსთქვეს გ. ლეონიძემ, ვ. გოლცევმა, დ. შენგელაიამ და დ. ბენაშვილმა. მოგონებით ვაჟა-ფშაველას შესახებ გამოვიდა თ. სახოკია.

საკუთარი ლექსები, მიძღვნილი ვაჟასადმი, წაიკითხეს პოეტებმა: გ. ტაბიძემ, ს. ჩიქოვანმა, ი. მოსაშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, ს. ფაშალიშვილმა, ა. აბაშელმა, ი. მჭედლიშვილმა და ი. გრიშაშვილმა.

შემდეგ გაიმართა კონცერტი.

საღამო დუშეთში

11 აგვისტოს დუშეთში შესდგა ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო. თბილისიდან აქ ჩამოვიდა პარტიული ორგანიზაციების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მრავალი წარმომადგენელი.

საღამო გაიხსნა საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივნის ი. ღუდუშაურის შესავალი სიტყვით.

მოხსენება ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა დ. ბენაშვილმა. სიტყვები წარმოსთქვეს გ. ჯიბლაძემ და ბ. ჟღენტმა. ვაჟა-ფშაველასთან შეხვედრათა შესახებ საინტერესო მოგონებანი წაიკითხა პროფესორმა მ. ზანდუკელმა.

ვაჟა-ფშაველასი და მისდამი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ი. მოსაშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, რ. მარგიანმა, ა. მაშაშვილმა, გ. შატბერაშვილმა, ა. ნონეშვილმა, გ. ლეონიძემ, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობმა ს. ზაქარიაძემ.

მიტინგი ჩარგალში

12 აგვისტოს პოეტის სამშობლოში—დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგალში, შესდგა ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელიც გახსნა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ღუდუშაურმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს ბ. ჟღენტმა, საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ვ. თოფურიამ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ბარამიძემ, სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის წარმომადგენელმა ვ. გოლცევმა, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა შ. ღამბაშიძემ.

შემდეგ ლექსები წაიკითხეს პოეტმა გ. ლეონიძემ, ვაჟა-ფშაველას შვილმა ვ. რაზიკაშვილმა, თიანეთის რაიონის სოფელ ვეძათხევის მასწავლებელმა ა. კუდიანაშვილმა, სოფელ მალარისკარის სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ უ. ბოძაშვილმა, თიანეთიდან ჩამოსულმა ი. ქისტაურმა, მასწავლებელმა ქ. ქურდოვანიძემ.

ვაჟა-ფშაველას ლექსები განსაკუთრებული წარმატებით წაიკითხა მსახიობმა ს. ზაქარიაძემ.

სტუმრებმა დაათვალიერეს დიდი პოეტის სახლი.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ისევ ზღვის პირად

ნაპირს მივდევდით, ზღვა იყო წყნარი,
სიჩუმე კრთოდა მიწიდან, ქვიდან,
ტალღებთან ბრძოლით დაღლილი ქარი
ხისძირს მოგროვილ ქვიშასთან იდგა.

ჩვენ ვსაუბრობდით, ხანძარი ომის
არ აჩნდა ხმას და არც ცის კაბადონს,
ტყეში ჩამჯდარი ჩიოდა წრომი
მოუწოდებდა თავის ქალბატონს.

ჩვენ ვსაუბრობდით, ბუნების წიაღს
ახლდა სიცოცხლე და სიხალისე.
ახლად გამოსულ ფოთლების შრიალს
გამოეფინა ცხოვრება ისევ.

ჩვენ ვსაუბრობდით, ხეთა ჩეროდან
ვუცქერდით როგორ დაცხრა იარა,
ადამიანი ისევ მღეროდა
და ქარიშხალმა გადაიარა.

გაოცებულნი ვუცქერდით ფრთხილად
ველმა სიმშვიდე როგორ მოისხა,
როგორ მოვიდა ნათელი დილა
და ლურჯი ბინდი საღამოისა.

მე და შენ რომ ვართ—უნდა მიუხვდეთ
რას გვეუბნება ბუნება თავათ,
თვალუწვდენელი სივრცის სიუხვე
როგორ შემოდის დაუკითხავად.

შემოდის,—თავის მბრძანებლობაში
ჩვენ სიხალისე გვარგუნა წილად—
და ამ უძლეველ ბუნების ხმაში
ჩვენი ხმაც ჟღერდეს ძლევამოსილად.

მიქელ პატარიძე

სადღეგრძელო

წინათ პირველ სადღეგრძელოდ
იყო დიასახლისი,
ეს ოჯახის საფუძველი
და ვაჟკაცის ხალისი.
ვინ დარჩება მაგიდაზე,
რომ არა სთქვას: დამისხი
გამსჭვალული მორიდებით,
სილამაზის ქარიშხლით.

ჩვეულება ბევრი იყო,
ბევრი დღესაც გვანათებს,
შორეული წარსულიდან
ის გვიგზავნის ბარათებს,
ებრძვის სიკვდილს, დავიწყებას
და სიცოცხლეს ამართლებს.

შორსწამსვლელი მშობელის წინ
კრძალვით მუხლს მოიყრიდა,
ერთ პეშვ მიწას აიღებდა,
მუხლს მორჩილად იხრიდა,
სამშობლოსთვის გამარჯვებას
თავის სისხლით იყიდდა,
სიკვდილის წინ მშობელ მიწას
მკერდზე გადაიყრიდა.

ძველი, როგორც მყინვარწვერი,
თრიალეთის შრეება,
კიდევ არის ჩვეულება
დალოცვილი ჩვევები:
მტერს თუ შეხვდე, არ გასცილდე,
შეუტიე, შეები.

თუ ჩახჭერი თასში ვერცხლი,
ძმასთან ერთად დასცალე,
მეომრებმა ბრძოლის ველზე
თუ ტყვიები გასცვალეთ,
ქართველი ხარ, ძმადნაფიცი
და ძმას თავს ენაცვალებ.

ახლა ახალ ჩვეულებას
გვამცნობს სუფრას თამადა,
პირველ სიტყვად, პირველ აზრად
მოდის თავის თავადა,
ხალისის და ძლევის ნიშნად
გრგვინავს მთა და ბარადა:

„ხალხთა ბელადს გამარჯვება
და დიდება მარადის,
წითელ მებრძოლს ჩვენი ვაშა,
მტერს რომ სდია კარამდის,
სამშობლოს რომ გადეფარა
თავზე, ვით მუზარადი!“

არც ბრინჯაო, არც გრანიტი
ძეგლი ისე ამართეს.
ჯუღაშვილის ვაჟკაცობა
ჩვენს სიცოცხლეს ამართლებს
და შორეულ შვილთა შვილებს
მზეებრ გამოანათებს.

ლადო დონაძე

სიმფონიური პოემა „ზვიადაური“

პოეტური ელემენტის როლი ქართულ მუსიკაში დამოუკიდებელი კვლევის საგანია. ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ დიდი ზეგავლენა იქონია ჩვენი მუსიკალური კულტურის განვითარებაზე. პოეზიისა და ლიტერატურის ქვეყანა მუდამ შთამაგონებელი ნაკადებით ანაყოფიერებდა არა მარტო სიტყვასთან დაკავშირებულ მუსიკას, არამედ იგი უხვ მასაზრდოებელ ნიადაგს წარმოადგენდა ინსტრუმენტულ-სიმფონიურ ჟანრისათვისაც.

პოეტური იდეა, როგორც შთაგონების იმპულსური ელემენტი, განვითარების ახალ სარბიელს აძლევს ქართულ სიმფონიურ მუსიკას. მეტად საგულისხმოა ამ მხრივ ქართველ კომპოზიტორთა დიდი ინტერესი ე. წ. პროგრამული მუსიკისადმი და, კერძოდ, სიმფონიურ პოემისადმი, რომელიც თავისთავად სინთეტიურ ჟანრს წარმოადგენს და არსებითად ორი უდიდესი სულიერი ფაქტორის — მუსიკისა და პოეზიის ღრმა თანაზიარობის ნაყოფია. პროგრამული ტენდენციების გზით ქართული მუსიკაც კვლავ ეზიარა ჩვენი პოეზიისა და ლიტერატურის მხატვრულ იდეებს. ქართული კლასიკური პოეზიის მრავალი შესანიშნავი ქმნილება „ითარგმნა“ მუსიკალურ ენაზე. რუსთაველისა და ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის პოეზიის შთამაგონებელი ძალა ნათლად იგრძნობა ქართული მუსიკალური შემოქმედების მრავალ დარგში. დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას პოეზიის ხმა შედარებით გვიან გაისმა ქართულ მუსიკაში. ვაჟა-ფშაველას ვაჟკაცურმა ლირიკამ პირველად შ. მშველიძის მუსიკაში ჰპოვა თავისი გამომსახველი. ამ მხრივ სიმფონიური პოემა „ზვიადაური“ სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ მუსიკაში. იგი საბჭოთა სიმფონიური მუსიკის უდიდეს მიღწევათა რიგს მიეკუთვნება. შ. მშველიძის პოემის დიდ წარმატებას, ეჭვი არ არის, ვაჟას პოეტურმა ქმნილებამაც შეუწყო ხელი. აქ საგულისხმოა არა მარტო პოეტური მასალის და თემის შერჩევის ინიციატივა, არამედ ის დიდი მხატვრული ინტუიციით მიღწეული მთლიანობაც, რომელიც სიმფონიურ პოემასა და მის პოეტურ პროტოტიპს შორის არსებობს.

შ. მშველიძის იდეური კავშირი თავის გარემომცველ წრესთან და თაობასთან საკმაოდ მტკიცეა და ორგანიული. მაგრამ თავისი აზროვნების ესთეტიური სტილითა და მუსიკალური ენით იგი განცალკევებით სდგას ახალ ქართულ მუსიკაში. თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა შორის უმთავრესად ლირიკოსები სჭარბობენ. მათი შემოქმედებითი ბუნება ძირითადად ლირიკაში სახიერდება, ისინი ქართული მუსიკის ხალხურ წყაროებშიაც უმთავრესად ლირიკულ ნაკადებს ეყრდნობიან და ხშირად ლირიკული სტილის ნიმუშებს გვაძლევენ მაშინაც, როდესაც გმირულ თემატიკას ეხებიან. ამ მხრივ შ. მშველიძე მკაფიოდ განირჩევა თავისი ეპოქის სხვა ქართველ კომპოზიტორებისაგან, მისი შემოქმედების სახით თანამედროვე ქართულ მუსიკაში ეპიური სტილის ძლიერი ნაკადი იჭრება.

შ. მშველიძის ეპიურ სტილს აქვს ერთი თვალსაჩინო თავისებურება, რომელიც მთელ ქართულ მუსიკაში თითქმის მარტოოდენ მას თვისებას შეადგენს. შ. მშველიძემ ქართული მხატვრული მუსიკა პირველად აზიარა მთის ეპოსს და გააცოცხლა მისი წარმართული სული. ფშავეთისა და ხევსურეთის ეპოსში, სადაც ჩვენი სულიერი ცხოვრების უძველესი ტრადიციები შემონახულა, სადაც ნამდვილი სტიქიური კავშირია ადამიანსა და ბუნებას შორის, მშველიძემ შთამაგონებელ წყაროებს მიაგნო. მთის სულთან ერთად მან იპოვა საკუთარი ნიადაგი. შ. მშველიძის შემოქმედების მხატვრულ სახეებს ჩვენ უძველესი ეპოსის სიღრმეში შევყავართ, სადაც ქართული მხატვრული მუსიკის წინაშე ხალხური ფანტაზიის ახალი და უცნობი ქვეყანა იშლება თავისი არქაული ურყეობითა და სტოიკური სულით. ამ მხრივ შ. მშველიძეს არ ჰყავს წინამორბედი ქართულ მუსიკაში და თავისი შემოქმედებით პირველი ეხმაურება ქართულ მწერლობაში ცნობილ ე. წ. „მთის სკოლის“ ოსტატებს და, მათ შორის ყველაზე უდიდესს, ვაჟა-ფშაველას. ვაჟას პოეზიის მხიბლავი ძალა იგრძნობა არა მარტო „ზვიადაურის“ მუსიკაში, სადაც პოეტი კომპოზიტორის „თანაავტორად“ გვევლინება, არამედ უპროგრამო კომპოზიციებში და სხვა ქმნილებებშიც. შ. მშველიძის შემოქმედება მისი ავტორის მარტოოდენ ეპიურ ნიჭზე როდი მეტყველებს. ეპოსი ერთ-ერთი მთავარი ნაკადია მისი შემოქმედებისა და არა ერთად-ერთი. საკმაოდ თვალსაჩინოა მის შემოქმედებაში ლირიული ნაკადიც, მაგრამ აქაც ერთგვარი განმარტებაა საჭირო. ეს ლირიკა არ არის ტრადიციული ტიპისა. კომპოზიტორი არ იზღუდება ინტიმურ-კამერული ლირიკის ვიწრო ჩარჩოებით. უაღრესად ინდივიდუალიზირებული და ფსიქოლოგიური თვითანალიზით გამსჭვალული გრძნობები უცხოა მისთვის. მკაცრი ეპოსის ჰაერი იჩხევა მის ლირიკაში და ეს მხარეც შ. მშველიძის შემოქმედებისა მთლიანი და ძალოვანი ადამიანის განცდებზე მეტყველებს. შ. მშველიძის შემოქმედება ეპიური და ლირიულია ერთსა და იმავე დროს. ეს ორი საწყისი აქ ისე ღრმად არის ერთი მეორეში შეჭრილი, რომ ძნელია მათი განცალკევება მთლიანობის დაურღვევლად. თითქოს მისი „გმირების“ საოცრად მთლიან და ურეფლექსიო ბუნებაში ლირიკული საწყისი ჯერ კიდევ არ მოსწყვეტია თავის მშობელ სტიქიონს —ეპოსს. ეპიური და ლირიული ელემენტების ესოდენ ბუნებრივი შეუღლება ნათლად გვაჩვენებს შ. მშველიძის შემოქმედების ღრმა ხალხურ გენეზისს.

ჩვენ მივუთითეთ შ. მშველიძის შემოქმედებითი პროფილის ეპიურ აქცენტს, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კომპოზიტორის ფანტაზიას არ უყვარს არქაულ სტატიკაში გარინდებული და პირველყოფილობის სტიქიურობით გამსჭვალული ეპოსი. აქ რომანტიული იდეალიზაციის ნატამალიც არ არის. ძველი საქართველოს ეპოსი მისთვის ერთგვარი ტრამპლინია ახალი ადამიანის იდეებისა და განცდების გამოსახატავად. ამის საუკეთესო მაჩვენებელია სიმფონიური პოემა „ზვიადაური“. მასში შ. მშველიძის შემოქმედებითი ევოლუციის თავისებური სინთეზია. ადრინდელი პერიოდის პატარა ქმნილებები გზას უკაფავენ კომპოზიტორს თავის შესანიშნავ პოემისაკენ. მთის ეპოპეის მშვენიერი ეპიზოდები—„ხევსურული ნანა“, „თუშის ქალები“, „გახა წიკლაური“, „ფშაური“ — შ. მშველიძის შემოქმედების პატარა „მთაგრეხილია“, რომელსაც „ზვიადაურის“ ახოვანი მწვერვალი აგვირგვინებს. შ. მშველიძის პოემის მხატვრული სახეები, მისი სპეციფიური ფერები და კონტურები იშვიათი თავისებურებით არიან აღბეჭდილნი. „ზვიადაურის“ მუსიკა ადამიანს იტაცებს და აღელვებს თავისი უაღრესი ემოციურობითა და ბუნებრივი ექსპრესიით, დიდი გულწრფელობითა და შთაგონებით. რეალისტური აზროვნების კონკრეტულობა დიდი ხელოვნებით არის აქ შეზავებული რომანტიულ განცდათა სიცხოველესთან.

„ზვიადაური“ პროგრამული ნაწარმოებია. იგი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელის“ პოეტური იდეით არის შთაგონებული. ჯოყოლა და ზვიადაური თემის ადათის ბრმა ძალას ეურჩებიან და გადაუდგებიან. ჯოყოლამ მეგობრობა გაუწია თავისი თემის მოსისხლე მტერს ზვიადაურს, მაგრამ თემის ადათის გამტეხნი თვით თემმა გასწირა. ტრაგიკულია პოემის ყველა გმირის ბედი. ვაჟას პოემა სისხლითა და ცრემლით არის მორწყული. მაგრამ სულ სხვაა შ. მშველიძის პოემის იდეური კონცეპცია. სისხლის აღების ველურ ადათს კომპოზიტორი უპირდაპირებს ხალხთა მეგობრობის დიად იდეას, რომელსაც ჯოყოლა და ზვიადაური ეწირებიან. ეს თემა შთამაგონებელია და აღმაფრთოვანებელი. ხალხთა მეგობრობის ჰუმანისტური იდეა თავის გამარჯვებას ზეიმობს მშველიძის პოემის ოპტიმისტურ ფინალში.

„ზვიადაურის“ მუსიკა გმირულიც არის და ლირიულიც. ორთავე საწყისს მკაცრი ეპიური კოლორიტი აქვს. „ზვიადაურის“ მუსიკის ამ თავისებურებას ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი გააჩნია. პოემის გმირები არა მარტო შეუპოვარი ვაჟკაცები არიან, არამედ მეტად მგრძნობიარე გულის ადამიანებიც, ამიტომ გმირული და ლირიული ელემენტები აქ ერთი და იმავე არსების სხვადასხვა მხარეებია და არა აბსოლუტურად მოპირდაპირე საწყისები. არაფერია საკვირველი, როდესაც ერთი და იგივე თემა აქ ხან სათუთად და ლირიულად ხმოვანებს, ხან მძლავრად და გმირულად.

შ. მშველიძის პოემის სტილისტური ორიგინალობა მარტოოდენ მისი ავტორის ინდივიდუალური თავისებურებით არ აიხსნება. იგი ხალხური წყაროების გავლენასაც უნდა მივაწეროთ. „ზვიადაურის“ მუსიკა, თქმა არ უნდა, მთიურ დიალექტზე უნდა აღმოცენებულიყო და, მართლაც, თავისი პოემის გმირებისა და მათი სულიერი განცდების გამოსახატავად კომპოზიტორს უპოვია აბსოლუტურად შესატყვისი ინტონაციები და რიტმები. მთიური დიალექტის ხმარების გამო პოემის მუსიკალური ენა მეტად სპეციფიურია და ლოკალური. განსაკუთრებით ფშაური სიმღერის კილო შეადგენს მისი ინტონაციური თავისებურების საფუძველს. ფშაური ხალხური სიმღერა მეტად არქაული პრიმიტივის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ მისი ღირსების უმთავრეს ელემენტს შეადგენს უაღრესად თავისებურ ბგერათა რიგი, რომელიც რამდენადმე ფრიგიულ წყობას უახლოვდება და თავისთავად უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს.

ფშაური წყობის (ბგერათა რიგის) შემოღების პირველობა ქართულ მხატვრულ მუსიკაში შ. მშველიძეს ეკუთვნის. ფშაურ წყობას როდი აქვს ფორმალური მნიშვნელობა. თავისი მკაცრი კოლორიტით და პირქუში სევდით იგი თვით სიმღერის სულს განსაზღვრავს. აქ თვით წყობა ჰქმნის სიმღერის მხატვრულ სპეციფიკას. ასე რომ ეს კილო არ არის ემოციურად ნეიტრალური, როგორც ეს სხვა ნატურალურ და დიატონიურ კილოებს ემჩნევა. ეს ძეგლი მეტად თავისებურია. ასეთი თავისებურება შესაძლოა შემბოჭველიც იყვეს ხელოვანისათვის, როგორც ყოველთვის კუთხურ დიალექტზე დაყრდნობა, მაგრამ შ. მშველიძე არ ემორჩილება მთიურ ფოლკლორულ კილოებს და არ ეწევა მათ პასიურ ფიქსაციას. ეს უაღრესად ლოკალური მოვლენა მან ზოგად ფორმაში აიყვანა. კომპოზიტორი ანვითარებს, აზოგადოებს მას და სიმფონიური სტილის დონემდე ამაღლებს.

შ. მშველიძის ყოველი ნაწარმოები უაღრესად საინტერესოა მასალის მხრივ. ეს განსაკუთრებით „ზვიადაურზე“ ითქმის, რომლის თემატიზმი მეტად კონკრეტულია და პლასტიურად გამოკვეთილი. პირველი შთაბეჭდილებით პოემაში თითქოს თემების მთელი კომპლექსია, ნამდვილად კი მისი მხატვრული სახეების მრავალფეროვნება თემატიური მასალის სიჭარბით არ აიხსნება — კომპოზიტორი ოსტატურად იყენებს ვარიაციული სიმფონიზმის მეტად დამახასიათებელ თემატიური ტრანსფორმაციის ხერხს. შინაგანი მოქნილობის გამო „ზვიადაურის“ თემები რთულ გარდასახვას განიცდიან. თემების მრავალნაირი ტრანსფორმაციით კომპოზიტორი მხატვრული სახეების დიდ მრავალფეროვნებას აღწევს. „ზვიადაურის“ მუსიკის პროგრამულობა სუჟეტური ტიპისაა და არა განზოგადოებითი ხასიათის. რაკი კომპოზიტორი სუჟეტური კონკრეტიზაციის გზას დაადგა და თითქმის კვალდაკვალ გაჰყვა ვაჟა-ფშაველას პოემას, ამ გარემოებამ მისი ნაწარმოები ეპიზოდებად დაანაკვეთა და მთელ მის ფორმას ერთგვარი რაფსოდიული კონსტრუქციის ხასიათი მისცა. რაფსოდიულობა სჩანს აგრეთვე თემატიური მასალის ხასიათში და ფორმის გაშლის თხრობით მანერაში.

მიუხედავად ასეთი აღნაგობისა, „ზვიადაურის“ მუსიკა დიდი შინაგანი მთლიანობით ხასიათდება. პოემის შინაარსი თითქმის პრაგმატიული თანამიმდევრობით იხსნება რამდენიმე ეპიზოდში, რომელთა შორის კომპოზიტორი ამყარებს თემატიურ, წყობით-ჰარმონიულ და ემოციურ კავშირს. მთელი პოემის გამაერთიანებელ საწყისს მისი პოეტური იდეა წარმოადგენს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

დიმიტრი ბენაშვილი

ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა თავის ერთ კრიტიკულ წერილში სწერდა: „გველის მჭამელის ამბავი, რაც მე გავიგონე და რაზედაც ავაშენე მთელი პოემა, შემდეგია: ხევსური მინდია ჩაუვარდება ტყვედ ქაჯებს. მათ შორის ცხოვრებამ იქამდის დაღონა მინდია, თავის მოკვლამდე მიიყვანა; თავის მოსაკლავად გველის ხორცი სჭამა, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. გველის ჭამამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო: მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა, მისი სიბრძნე, ხალხური თქმით, სჩანს მცენარეების ცნობაში, თუ რომელი მცენარე, რა სატკივარის წამალია, რადგანაც ყველა მცენარე თავად იძახის რის წამალიც არის და მინდიამაც ამ მცენარეთა ენა კარგად იცის. ხალხური თქმულება ამას იქით არ მიდის; მაშასადამე, **დაცოლშვილება, ცოლთან ბაასი, ხორცის უჭმელობა,** თუ შეიძლება ასე ვთქვათ, **მხედართმთავრული ნიჭი გველის მჭამელისა, ჩიტების ენის ცოდნა, — ხალხურ თქმულებას არ ეკუთვნის. ამბავი მინდიას სულის არავითარ დრამატიულს არ წარმოადგენს ხალხის თქმით**“. (ხაზი ჩვენია — დ. ბ.) ვაჟას, ამ მცირე განმარტებაში, მითითებული აქვს გზა, რომელზედაც უნდა გაიაროს ყოველმა მკვლევარმა, ვისაც პოემა „გველის-მჭამელის“ სულის გაგება დაუსახავს მიზნად. ამ ძნელად სავალი გზის შუა ნაწილზე ჩვენს თვალწინ აღმართულია დიდი ოსტატის ხელით გამძერწილი სახე უმშვენიერესი მთიელი ქალისა — მზიასი. ბუნებით ლამაზ მზიას, ვაჟა ადარებს თამარ-დედოფლის თვალებივით მიმზიდველ მთის ყვავილს, „თვალშურთხს“ უწოდებს მას და ეს ეპიტეტი ხომ მთაში აბსოლუტური სილამაზის სინონიმია!

მინდიამ თავისი ბედი დაუკავშირა მზიას. სიყვარულით გატანჯული, თვალცრემლიანი მინდია თანხმობას გამოითხოვს ქალისაგან; ქალი თანახმაა ცოლი შეიქმნეს მინდიასი, მაგრამ მზიას ძმები წინ აღუდგებიან მათ სურვილს. მაშინ მინდია მახვილს იღებს ხელში და ქალს ძალით გაიტაცებს. მინდია დაცოლშვილდა და მზია ქალიშვილობიდან დედაკაცად იქცა.

„გველის-მჭამელში“ ვაჟამ დრამატიულ კოლიზიად აქცია არა მზიას სილამაზე და სექსუალური გრძნობა, არამედ მისი **დედაკაცობა,** ან უკეთ **დედობა.** ვაჟა-ფშაველამ, როგორც უნივერსალური გონების და ფხიზელი გრძნობის ადამიანმა, სიტყვა „დედობის“ მაღალი მნიშვნელობა დაუკავშირა ქართველი ხალხის ნაციონალურ წარმოდგენას. „ქართველებისათვის **„დედა“** მარტო **მშობელი** არ არის. ქართველი ტვიძლ ენას **„დედა-ენას“** ეძახის. უფროსს ქალაქს — **„დედა-ქალაქს“,** მკვიდრსა და დიდ ბოძს სახლისას — **„დედა-ბოძს“,** უდიდესს, უმაგრესს ბურჯს—**„დედა-ბურჯს“,** სამთავრო აზრს **„დედა-აზრს“,** გუთნის გამგებელს — **„გუთნის-დედას“,** მიწას **„დედა-მიწას“** — სიდიდე სიმაგრე, სიმკვიდრე... და თვით ცხოვრება, აღნიშნულია **დედობით.** ამ საფუძველზე ჩვენ ზერელად და აბსოლუტურად არასამართლიანად მიგვაჩნია კიტა აბაშიძის აზრი (რომელიც შემდეგ გაიმეორა ლიტერატურული კრიტიკის მთელმა თაობამ) მთიელი ქალის—მზიას შესახებ. კიტა აბაშიძე სწერს: „მინდია, რასაკვირველია, გულთამხილავი მგოსანია, რომელსაც ესმის ბუნების მუსიკა და მისი სიმშვენიერე, ეს თავისებური ზეკაცია, გაბრძენებული, მას სიბრძნე სიმაგრესაც ანიჭებს, მთელი (!) ფშავ-ხევსურეთი მას აღმერთებს, ნუგეშად სახავს და თვით გვირგვინოსანი თამარი გმირსა და მამაცს უწოდებს, მაგრამ მგოსანს, რომელიც ცასთან ლაპარაკობს, **ცოლი ჰყავს, რომლის უბადრუკი გონება და ფიქრი დედამიწის წუმპეს ვერ ასცილებია. მისთვის მინდიას ბრწყინვალე გონება მეტი ბარგია, ის არშინითა და სასწორით ზომავს ყოველივეს... ამგვარად მეწვრილმანურმა შეხედულებამ სძლია მინდიას, ცხოვრების უმსგავსოებამ ჩაითრია, უღალატა თავის დიდსა და უცნაურ ნიჭს, უღალატა თავის ღმერთს... საზარელი, უმსგავსო და უბადრუკი მეწვრილმანული იდეალი და აზრი სძლევს მინდიას** — ზე-კაცს, ახალი ცხოვრების მახარობელს“ (იხ. „ეტიუდები“ ტომი 2, გვ. 221—22. ხაზი ყველგან ჩვენია, დ. ბ.).

ეს ძალიან გაბედულად არის ნათქვამი, მაგრამ სრულიად ულოგიკოდ და არა ჰკვიანურად. კიტა აბაშიძის ბრალდების ორი მხარეა საინტერესო: სოციალური და ფილოსოფიური. სოციალურ თვალსაზრისით ჩვენს მიერ მოყვანილი ციტატის ავტორი მზიას უწოდებს უბადრუკს, მეწვრილმანეს, გონება შეზღუდულს, რომელიც „დედა-მიწის წუმპეს ვერ ასცილებია“. კ. აბაშიძე არ უპასუხებს კითხვას — „რატომ“? და რაკი კითხვას არ უპასუხებს — ბრალდებანი შიშველ ფრაზებად რჩებიან. აქ ახალი კითხვა უნდა დაისვას: ნუ თუ იმიტომ, რომ მზია შვილების სიყვარულის გამო მინდიასაგან მოითხოვს ოჯახისადმი ზრუნვას? განა მინდია ჩიტებთან საიდუმლო ენით საუბარმა არ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მზრუნველობა შვილებისადმი, სურვილი მოდგმის გაგრძელებისადმი, არის უზენაესი კანონი ორგანიული ბუნებისა; და ვისაც ეს უზენაესი კანონი ბუნებისა შემეცნებული აქვს, განა მასზე ითქმის გონება შეზღუდული, მეწვრილმანე და უბადრუკიაო?! მაგრამ მზიას გამართლების ეს მხოლოდ ერთი მხარეა. წინა წერილში ჩვენ დავადასტურეთ, რომ ბიბლიური ლეგენდის თანახმად, გველისაგან მიღებული სიბრძნე დაუპირისპირდა მზიას, როგორც დედაკაცს; დედაკაცის სახით კი ადამიანის ცხოვრებას. რა იქნებოდა, რომ ვაჟას მინდიასთვის გამარჯვების გვირგვინი დაედგა თავზე? მაშინ ადამიანს უარი უნდა ეთქვა ცხოვრებაზე, არსებობაზე და განურჩეველ ბუნებას შეერთებოდა, როგორც ერთარსებას; და განა ვაჟა, როგორც შემოქმედი და ადამიანი ერთ წუთს დაუშვებდა ამ ფაქტს?. „ჩვენ, პოეტნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი — სწერდა ვაჟა, — რომელნიც ეროვნულ, რეალურ თუ გონებრივ ღირებულებას ქმნიან, უნდა იყვნენ გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ დღევანდელი დღე უკეთესი იყოს ქვეყნისათვის. დღევანდელი ხალხი, ცალ-ცალკე და საერთოდ, საჭიროა აზრით და გრძნობით აღიჭურვოს. მოქმედებაც თვითეული ჩვენგანისა იყოს აზრშეწონილი. დღევანდელს თვითეულის ჩვენთაგანის მოქმედებას უნდა იქ მივყავდეთ, სადაც საჭიროა ჩვენი მისვლა. თვითეული ჩვენგანის მოქმედება, მაშასადამე ის გზა უნდა იყოს, რომელმაც რომში უნდა მიგვიყვანოს. ეს რომი ჩვენი მომავალია და თუ რომში მიმავალი გზით არ წავიდეთ... რომს ავსცდებით. სწორე გზა აწმყოა, ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულ მომავალს ჰქმნის. მთელი შემოქმედება ვაჟასი ამ აზრის ბრწყინვალე დადასტურებაა. ზრუნვითა და მოქმედებით ცდილობდა ვაჟა ერისა, ხალხისა და ოჯახის ბრწყინვალე მომავლის შექმნას. ამიტომ სრულიად ულოგიკოა და უსამართლო ვაჟა-ფშაველასა და მინდიას თვალსაზრისის გაიგივების ცდა.

გველის-მჭამელის ლეგენდაში, რომელიც ხალხმა შემოინახა, სრულიად არ არის მინდიას დაცოლშვილების ამბავი. მზია შექმნილია ვაჟას თავისუფალი და მდიდარი ფანტაზიით და იგი დაუპირისპირა მინდიას მიერ გველისაგან მიღებულ სიბრძნეს; ამ დაპირისპირებაში, თუმცა დაცულია ბუნებრიობა, რომელიც ჭეშმარიტ შემოქმედების განუყრელ თვისებას წარმოადგენს, მაგრამ პოემის სული მიმართულია მინდიას მოძღვრების, როგორც ანტისოციალური და ანტიადამიანურის, წინააღმდეგ.

რაკი კ. აბაშიძის ბრალდების სოციალური მხარე გავარჩიეთ, ინტერესს მოკლებული როდია ამავე ბრალდების ფილოსოფიური მხარის განხილვა. როგორც ცნობილია, კ. აბაშიძე ადამიანებისა და მოვლენების შეფასებისას სუბიექტივისტი იყო ფრანგ ნეორომანტიკოსების მსგავსად. ამ ნიადაგზე პოემა „გველის-მჭამელი“ კ. აბაშიძემ ვაჟას ფილოსოფიური თვალსაზრისით კი არ გახსნა, არამედ დეკადენტ ნიცშეს „ზეკაცობის“ რეაქციული მსოფლმხედველობით, რომელიც აგრე ეზიზღებოდა „გველის-მჭამელის“ ავტორს. ნიცშეს „ზეკაცი“ იმ ადამიანთა წყებას ეკუთვნის, რომელიც საკუთარ „მეს“ აყენებს მსოფლიოს ცენტრში და საზოგადოებას მოწყვეტილი კმაყოფილდება მხოლოდ სამყაროს მედიდური ჭვრეტით; მაგრამ არისტოტელეს თქმის არ იყოს, ადამიანი დაბადებულია **არა ჭვრეტისათვის, არამედ მოქმედებისათვის.** სწორედ ეს საზოგადოებრივი მოქმედება აკლია მინდიას. იქნებ ამ გარემოებამ აიძულა კ. აბაშიძე „ზეკაცი“ ეწოდებინა მინდიასათვის და გაემართლებინა მისი გაქცევა საზოგადოებიდან; მაშინ რისთვის იყო საჭირო მინდიასა და ვაჟას თვალსაზრისის გაიგივება?! მხოლოდ იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველა ნიცშეანელად მოენათლა. არ ვიცი, გრძნობდა თუ არა კ. აბაშიძე, თუ როგორ ამცირებდა ვაჟას, როდესაც მას ნიცშეანიზმის გახუნებულ, უსიცოცხლო და დეკადენტურ გვირგვინს ადგამდა თავზე. თვით ვაჟა ხომ უდიდესი უარმყოფელი იყო ნიცშეს მოძღვრებისა!

ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გაგების დროს არ შეიძლება არ გავიხსენოთ ვაჟას მეგობრის ივანე ბუქურაულის მოგონება. პირად საუბარში და სუფრაზე სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს, ვაჟა ხშირად იმეორებდა თურმე ანტიკური ტრაგიკოსის—ესქილეს სიტყვებს პოეტის მოვალეობაზე: „პოეტურმა ქმნილებამ, ამბობდა ესქილე, უნდა აღზარდოს პატიოსანი, ზნეობრივად წმინდა და მამაცი მოქალაქენი; რატომ ვადიდებ პოეტებს, თუ ისინი ხელოვნებითა და რჩევა-დარიგებებით არ მოუწოდებენ ხალხს საზოგადოებრივი კეთილდღეობისაკენ“. ესქილეს, ამ ძველი ელინელის მსგავსად ვაჟა-ფშაველას ნათელი და ჯანსაღი წარმოდგენა ჰქონდა ადამიანზე, ხალხზე; უყვარდა იგი და იღწოდა, რათა უკეთესი მომავალი ჰქონოდა ხალხს, საკუთარ ერს. საზოგადოებრივი ინტერესი, ადამიანისადმი სიყვარული ვაჟას ბუნებრივად აკავშირებდა მზიას თვალსაზრისთან. უმშვენიერესს მთიელ ქალში ვაჟა ხედავდა „დედობის“ წმინდა სახეს. ამ სახის წინ „გველის-მჭამელის“ ავტორმა მუხლებზე დაამხო მინდია და პატიება ითხოვა მისგან, როგორც უმაღლესი მართლმსაჯულისაგან.

„გთხოვ, მაპატიო, მზიაო,
რაც გლანძღე გაგაბრაზეო,
რასაცა ხედავ ჩემს თავზე,
ღირსი ვარ, სწორედ ახიო.
ბალღები არ დამიჩაგრო,
გთხოვ, კარგად შემინახეო“.

არა ქინიანობა და კაპრიზი, არამედ შინაგანი მთლიანობა, თავისთავადობა და პრინციპულობა აიძულებს მზიას—ერთდროულად იყოს მოსიყვარულე ცოლი მინდიასი და ამავე დროს ურთგულესი დედა—მინდიას მიერ უარყოფილი ოჯახისა. ცოლობა მზიას მორჩილებას ავლენს, ხოლო დედობა —წინააღმდეგობას.

„ჰო, თუ ბრალი მაქვს რაიმე,
ღირსიც ვიქნები დასჯისა;
ის ცოდვა რად უნდა იყოს,
ფიქრი, რომ მიველ გარჯისა,
ცოლშვილ თუ უნდან ვაჟკაცსა
შინაც უნდა ქონდეს ხარჯისა.
. . . .
ბრალი რად უნდა დაედვას
ალალს, არ მქნელსა ცოდვისა?
ცოდვა ერთისა სხვამა ზღოს, —
მადლი სად თქმულა, როდისა?“

მზია რომ უბადრუკი, მეწვრილმანე და გონებაშეზღუდული ყოფილიყო, როგორც ამას კიტა აბაშიძე ფიქრობდა, მაშინ ვაჟას სხვაგვარად უნდა წარემართა ქალის შინაგანი ხასიათის განვითარება და არა ისე, როგორც პოემაშია წარმოდგენილი. მეწვრილმანე და გონებაშეზღუდული ადამიანის ხასიათი თავისთავში გვევლინება, როგორც უგონო, სუსტი, ფსიქოლოგიურად დაფლეთილი და ამორალური; თუ კი ამგვარ ადამიანებს კიდევ შერჩებათ კეთილშობილების მცირე ნაწილი, მათში ვლინდება არა როგორც საკუთარი, არამედ როგორც წაბაძვით გადმოღებული, მათთვის არაორგანული თვისება. მზიას ხასიათსა და პათოსს არავითარი საერთო არა აქვს მეწვრილმანე ადამიანის უნებისყოფო „მეს“-თან. ამ გმირ ქალს თავისთავში მოთავსებული აქვს მდიდარი სული, თავის შინაგანი ქვეყანა—კეთილშობილი და ზნეობრივად მაღალი გრძნობებით. ამ გრძნობების გარეგან გამოხატულებას ვაჟა ახდენს ადეკვატურ ფორმაში. ტყუილად როდი აირჩია ვაჟამ მთლიანი და თავისთავადი ხასიათის გამოსახატავად ეპიკური პოეზია! აქ, პოეზიის ამ ფორმაში, შეიძლებოდა მხოლოდ ადამიანის უღრმესი და უზოგადესი ინტერესების მხატვრული განსხვავება. ვაჟას ეპიკურ ტილოზე მთიელი ქალი—მზია მოჩანს, როგორც ცოცხალი სახე ჰარმონიულობისა და უკვდავებისა; დედობა მას უკვდავებას ანიჭებს, ხოლო ცხოვრების სიყვარული—ჰარმონიულობას.

პოემის მთელ მანძილზე მზიამ მხოლოდ ერთხელ, ისაც ქმრისა და შვილების სიყვარულით, იგრძნო სულიერი თრთოლვა, რასაც წუთიერი დეპრესია მოჰყვა. მზია სიზმარში ხედავს, რომ ქვეყანას წარღვნა ემუქრება. თვალშეუწვდენელი მთები ინგრეოდნენ, ცა და დედამიწა ყრუდ გუგუნებდა. ადამიანები შველას ითხოვდნენ. ბნელი პროცესით ირღვეოდა მინდიას ციხე-კოშკი. მოვარდნილმა ღვარებმა მზია შვილებითურთ თან გაიყოლა; ქალი თვალს მოკრავს წყალწაღებულ მინდიას. მინდია თვალცრემლიანი მოუბრუნდება მზიას და ტკბილი ხმით მოინანიებს მას წინაშე ჩადენილ დანაშაულს, თანაც ანდერძად უტოვებს: „ბალღები არ დამიჩაგროო“. სიზმარი გათავდა, მაგრამ მზიას ლამაზ სახეს მწუხარება შერჩა. წინადგრძნობა რაღაც მოსალოდნელ უბედურებას უქადდა. ვაჟას მიერ შექმნილი სიტუაციის სიმძაფრე არა მარტო მზიას, არამედ მკითხველსაც შიშის ქვეშ ამყოფებს, რაღაც ახალი, მაგრამ აუცილებელი მსხვერპლის გამო. პოემის ბოლო ნაწილში კოლიზია იხსნება მინდიას დაღუპვით.

„დამეც გახშირდა კარგადა,
ტყვემ აასრულა წადილი,
ორივე ხელი გახსნა,
ფეხზე წამოდგა დაღლილი.
და ამ დროს ნახა სოფლებში,
ცეცხლები,—ცუდი ნიშანი.
გაიგო, რაც მომხდარიყო,
აღარ უნდოდა მისანი.
გაშრა, გაფითრდა, ცრემლი კი
არ მოსდგომოდა თვალებში,
სულ გულში ჩაგუბებულა
და გაბნეულა მკლავებში...
ქუდს იხდის... სიტყვა ვერა სთქვა,
ხმლის ტარს შავხო ცერითა,
ამოიწვადა ქარქაშით
გულს მიიბჯინა წვერითა.
მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,
გადმოუვიდა ჩქერითა“.

მინდიამ ვერ გაუძლო ცეცხლის შეხედვას, რომელიც შემოსეულ მტერმა დაანთო მის მშობლიურ სოფელში. ამ ცეცხლის ალში იღუპებოდნენ ადამიანები და მათ შორის მინდიას ცოლ-შვილიც. მწუხარებამ დასძლია მინდიას ნებისყოფა და თავი მოიკლა. სიკვდილის ჟამს იქნებ მინდია გველისაგან მიღებულ, მაგრამ უკვე დაკარგულ, სიბრძნეზეც გლოვობდა, რომელიც ისეთივე საშიშროებას უქადდა ადამიანის მოდგმას, როგორც მტრის მიერ დანთებული ხანძარი!

დასკვნა: ვაჟა-ფშაველამ პოემა „გველისმჭამელით“ დაადასტურა, რომ სულიერი კავშირი უსულო ბუნებასთან ეწინააღმდეგება ცხოვრების უზენაეს კანონს.

გველისაგან მიღებულმა სიბრძნემ ასწავლა მინდიას უსულო ბუნების საიდუმლო ენა; იგივე სიბრძნე დაუპირისპირდა დედობას როგორც ადამიანის ცხოვრების სიმბოლოს. მინდია საკუთარ შვილებს უარყოფს სიბრძნის დაკარგვის შიშით; იმავე სიბრძნემ ჩიტებთან საუბარში დაარწმუნა იგი, რომ ზრუნვა შვილებისადმი, მოდგმისადმი, არის უმაღლესი კანონი ბუნებისა. სიბრძნე მინდიას სარდლობის უნარს ანიჭებს. და საზოგადოებრივი სიკეთისათვის იბრძვის, მაგრამ იმავე სიბრძნემ ხელი ააღებინა ოჯახისადმი ზრუნვაზე და მინდია დაუპირისპირა საზოგადოებრივ ინტერესს მოდგმათა გაგრძელების საქმეში. გველისაგან მიღებულ სიბრძნის ჭეშმარიტებაში ეჭვი შეეპარა ჩიტებთან საუბრის დროს; ეჭვი და სიბრძნე კი ერთად ვერ იცხოვრებენ. ამ დაუძლეველმა წინააღმდეგობამ მინდია დაამარცხა. ტიტანური ბრძოლა, რომელიც გველისაგან მიღებულ სიბრძნის შემდეგ დაიწყო მინდიას სულში **ქაჯურსა და ადამიანურს საწყისს შორის,** დამთავრდა **ადამიანურის გამარჯვებით.**

ძველი სარაინდო ალთქმების მსგავსად ვაჟა გლოვობდა მინდიას დაღუპვას, მაგრამ ზეიმობდა ადამიანის გამარჯვებას.

---

*) მესამე წერილის დასასრული. იხ. „ლიტ. და ხელ.“ № 26.

მაყვალა მრევლიშვილი

ჩარგალში

ვაჟას სიყვარულით ვეწვიე ჩარგალს. დუშეთიდან ფშაველმა ქალებმა წამიყვანეს. ერთი მათგანი ვაჟას ბიძაშვილია—დარეჯან რაზიკაშვილი. ჭროღა თვალები აქვს, პირხმელია, ვაჟკაცური ნაბიჯის მქონე.

ჟინვალს ავცდით, შევიწროვდა ხეობა, გუდარეხში დაგვიღამდა. გაავდარდა, თითქოს ხაროში შეგვყარეს მთებმა, პირი მოგვიკრეს და თავზე დევების ხელსაფქვავები ტრიალებენო. გრგვინვაში, უკუნეთში ცხენები თვითონ მიიკვლევდნენ გზას. გაელვებისას დაბურული ხეები ირხეოდნენ ქშეში და ნიაღვარში, მერე ისევ უარესი სიბნელე დგებოდა. დარეჯანმა სადღაც შეუხვია ღამის გასათევად.

მოკრიალებული დილა გათენდა, გზა განვაგრძეთ.

ვატყობ ეს მგზავრობა დროს ტარებად უქცევიათ შინიდან იშვიათად გამოსულ ფშაველ ქალებს; შეჰხვდებათ მგზავრი და, ვიწრო ბილიკზე ვიდრე გზას აუქცევდნენ ცხენები, მარიამი თავის ალვირს დარეჯანს გადმოუგდებს, ისკუპებს ცხენიდან, მიმავალ ნაცნობს უკან შემოუჯდება და მიბაასობენ კარგა მანძილზე, შემდეგ დაგვეწევა ახალი ამბებით. ერთხელ დარეჯანიც ჩამოგვრჩა, დაწევისას მეკითხება:

— შვილო, ხომ არა დაგკარგვიარა?

— არა-მეთქი,—დარწმუნებით ვუპასუხე და თან უბეში, მეგობრის მოცემული აჭარული ბებუთი მოვძებნე. აღარ მქონდა.

დარეჯანმა გამომიწოდა ჩემი დანაკარგი და დაატანა.

—ვიდრე ჩემთან ხარ, დედილასა*), ესენი არ დაგჭირდება—დღემდე ვერ მივხვდი საიდან იცოდა დარეჯანმა, რომ დანა მე მეკუთვნოდა.

საუბრობენ, ხუმრობენ ქალები, მომხიბლავი ენით ლექსაობენ გზა და გზა. მაგრამ ცხენზე ვერას ჩაიწერ. და თითქოს ნიშნის მისაგებად, ისევ ზედიზედ გაისმის:

„ფოთოლათ მერცხალაი ვარ
წაწალ გოდერძათ ქალისა,
რაც მე წაწლობა დავიწყე,
სამჯერ მილოცეს თვალისა“.

ვაჟას შესახებ მებაასება დარეჯანი და ბაჩანასაც სიამაყით იგონებს.

მეავე წყლებთან მიახლოვებისას მარჯვნივ მთების კარიბჭე გაიხსნა: ეს ჩარგლის კარია. არაგვის ჭალები დავტოვეთ და ჩარგლულას ავყევით.

„მოგესალმებით ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობდნენ
თქვენი დეკა და ღვიანი“.

ამბობს დარეჯანი. დარეჯანი თუ ყოველი ჩვენგანი?

ვაჟას სახლი, ირგვლივ ბარდნარით, ველური ხეებით დაბურული მიდამო, გვერდით მწვანეში ჩაფლული ბოსელი. არავინ ბინადრობდა მაშინ (თხუთმეტიოდე წლის წინათ). გაციებული კერა და ღარიბი ავეჯი, ერთი [illegible] მაგიდა, კედელთან სამფეხა სკამი, ძველ მიწაზე საქონლის ტყავები და კედელზე სიმებ დახსნილი ჩონგური.

ეს მთის არწივის საბუდარია. ნეტავ რომელი ნივთია ვაჟას ხელნაკიდი? სიჩუმეა—ოთახში, მცირე ფანჯრიდან ჩარგლულას გაღმით ქალის სოფელი გამოჩნდება მწვანეში, კარმიდამო ბალახით დაფარულია და ეზოს გადაღმა, გზაზე, ვაჟას ხელით ამოშენებული წყარო სჩქეფს.

ირგვლივ კი ვაჟას მთები დგანან: აგერ აფშუხოს თავზე კლდე „სახოვე თავი“ („სოვები რომ ბუდობენ!“); ჯვართ გორი — სალაცარი, სისხლისფერი კლდე, აგერ საფუტკრის გორი, ახონი, დიყელა, გუთანაურთ ახო.

ცქვიტად, ხალისით ჩამოხთვლიან ბავშვები ამ მიდამოებს. მოხუცები, ვაჟას მომსწრენი იხსენებენ მოუსვენარსა და დაუდეგარ მეზობელს — ლუკას.

— არ გვეგონა თუ დიდი კაცი იყო, ამაყად კი ეჭირა თავი, მიწის მუშაობა უყვარდა, მაგრამ ნახევარზე ქალაქში იყო...

მოხუცი მჭედელა ვაჟას კარის მეზობელია. წვრილშვილი, ხელმოკლე. თავდახრით ზის. ძუნწად მიპასუხებს, და ჩემს თხოვნაზე: ხალხური ლექსები გეცოდინება მეთქი, ტკეპნით ამბობს: — აბა ეს ჩაიწერე!

„გესმოდეს, ახალგაზრდაო,
ბებრის როსტომის ნათქომი,
ყმა გავლილ-გამოვლილი სჯობს
ქალ მამის კერას ნაჯდომი“.

— მეტი არ ვიციო, — დააყოლა ჯიუტად და წამოდგა. მიუხვდი. ვიწერ ამ ნართაულ გადმოკვრას და მაინც მიხარია, ერთი ლექსიც შევიმატეთ.

ქალებთან უფრო ადვილია მუშაობა. ქსლის ბეჭვის დროს, თუ სადღვებლის ქანაობისას, სჩქეფს ფშაური ლექსი, ენით და გრძნობით მდიდარი:

„მინდორთ რომ სისხლის ზღვა არი,
გადასაგდები სად არი,
შიგა წევს გველი წითელი,
თავ-საზარ, ბოლო სად არი!
ბევრსა ჰკლავს ბევრი სურველი,
მაგრამ გაგება სად არი!“

ან კიდევ:

„გული მამიკლა, დედაო,
შავმა ბეჭედმა რქისამა,
შავეთით გამოგზავნილმა
შავგვრემანაის ყმისამა“.

გიგლიას ლექსი, თხის-ტყავიანისა და ეთერის თავგადასავალი, — ერთი მეორეზე წარმტაცი და მომხიბლავი, დღესაც უწყვეტი მკედივით ირთვება და ითხზება, ხელახლა განიცდის მთქმელი მათზე / გალექსილ ამბავს. ისევ ცოცხლობენ ხუმარა ფრუშკი და ჩონქარა და ისევ ხიბლავს ჩონგურზე მღერალს მშვენიერი და გულადი ფოცხვერაანთ დედუნა.

ეს ვაჟას სამყაროა.

---

*) დედაშვილობას.

გიორგი გიასელი

ვაჟა-ფშაველა იმერეთში

ვხედავ, რომ შამრიგებიხარ —
მით სალამს შენთან ვბედავ.
ვაჟა.

შენ ქუთაისი გინახავს —
ედემის კუთხედ შობილი,
აქ წაგიკითხავს ლექსები
ია-ვარდებით მკობილი,
ხალხს უთქვამს: ხშირად გვეწვიოს
მწყრალი და ახლა ძმობილი.

თითქოს იყავი ხატობას —
სხვა ეშხი გამოგყოლია,
შენი ჩონგურის სიმები,
გულის ძაფები მგონია.
შენით გავიგე სიმღერას—
რა ქარიშხალი ჰქონია.

შენით ამაყობს, მგოსანო,
ბარი, ფშავეთი, მთა-ხევი.
სადაც არ მიველ, წინ შემხვდა
მაგ სიმღერათა ნახშევი.

ცაზე ღრუბელი ჰკიდია,
ვით შენი ჩოხის ნახევი.

შენი ბაღნარის ყვავილი
ათას ყვავილში იცნობა,
შენმა ფურცლებმა გვიამბეს
დამწერის გულნაისრობა.
იგი შენს ბაგეს ამოსცდა,
ვით ჯერ უთქმელი მისნობა.
ხალხმა ჩონგურზე იმღერა
სიმღერის მარადისობა.

რა საამურად მეხვევა
მთიდან აშლილი ქარები.
თითქოს რაშზე ხარ შემჯდარი
ბარისკენ მოეჩქარები.
მობრძანდი, შენთვის იღება
საიმერეთოს კარები!

გერონტი ქიქოძე

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება

ვაჟა-ფშაველას მხატვრული შემოქმედების მწვერვალს მისი პოემები წარმოადგენენ. ისინი მკითხველზე ზეისტორიულ შთაბეჭდილებას ახდენენ, მაშინაც კი, როდესაც თითქოს განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქასთან არიან დაკავშირებული. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ეს პოემები თავიანთი სუჟეტითა და მხატვრული სახეებით განსაკუთრებით ახლო დგანან ფოლკლორთან და ავტორს თავისი ეპოქის გმირები ათასწლოვანი მითოსის სიღრმიდან ჰყავს გამოწვეული.

„გიგლიაში“ თითქო ფშაველებისა და მოთარეშე ლეკების ბრძოლის ერთი დრამატიული ეპიზოდია გადმოცემული; მაგრამ გიგლიას მეჭურვა და მხედრება, მისი გამოთხოვება დედასა და პირქუში სიზმრით შეშფოთებულ დასთან, მისი შეხვედრა ლეკებთან და ცხრა მტრის მოკვლა, ბოლოს, მისი სიკვდილი, მისი გამოტირება მთებისა, ბებერი არწივისა, მაღლიდან მომქრენი მთის წყაროსა და უპატრონოდ დარჩენილი ცხენის მიერ მონუმენტალური სტილითაა დახატული და ისეთივე ღრმა ადამიანურ შთაბეჭდილებას სტოვებს, როგორც როლანდისა ან ზიგფრიდის სიკვდილი ფრანგულ და გერმანულ ეპოსში. თვით ბუნების დახატვაშიც ადგილობრივი კოლორიტიცაა დაცული და ზოგადი ეპიური სტილიც:

„მთვარე ამოჩნდა ნალევი,
მახარობელი ქვეყნისა,
აქა იქ მოსჩანს ნათელი
მწვეტი წვერები მთებისა,
გორ-გორის პირებს მისდევენ
ჯოგი დაღისტნელთ მგლებისა
ხევებში ჩადგა გრილები,
ისმის ყვირილი წყლებისა.
კლდის თავზე დასძინებია
არწივს მოყვარეს მთისასა,
ბორბალა ყინულიანი
გულის პირს არღვევს ცისასა
ერთი ბუ გაღმა კითხულობს
ამბავს გამოღმა ძმისასა“.

ორ თავის საუკეთესო პოემაში „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“ ვაჟა-ფშაველამ საზოგადოების და პიროვნების ურთიერთობის საკითხი დასვა. მან მოგვითხრო ადამიანების თავგადასავალი, რომელნიც ზნეობრივად თემს ითიშებიან და თავიანთი შემეცნებით ტომობრივ განკერძოებაზე მაღლა დგებიან.

რაში მდგომარეობს შატილის თემის თვალსაზრისით, ალუდა ქეთელაურის დანაშაული? ის ჰკლავს ხევსურების მტერს მუცალს, მაგრამ იმდენად იხიბლება მისი გმირული თავდაცვითა და გმირული სიკვდილით, რომ ადათს არღვევს და ხელს არ სჭრის მას: პირიქით, კიდეც გამოიტირებს, სიგრძივ ნაბადს გადაახურავს, ფარს დაადებს. კიდევ უფრო დიდი დანაშაულია, რომ ის საუფლო დღესასწაულზე შავ კურატს გამოიყვანს, რათა გუდანის ხატს მოკლული მტრის სული შეავედროს, ხოლო როდესაც აღშფოთებული ხევისბერი უარს ამბობს ურჯულოს დამწყალობებაზე, ალუდა თავისი ხმლით დაჰკლავს სამსხვერპლო მოზვერს. ამის შემდეგ თემი მას დაუყოვნებლივ ასამართლებს და განკვეთას, ე. ი. ცოლშვილითურთ სამშობლოდან გაძევებას უსჯის; და პოემა მთავრდება კლასიკურ ტრაგედიის ღირსი გრანდიოზული სურათით:

„ერთხელ მოუხდა ალუდას,
ერთხელ მობრუნვა თავისა:
„მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამხარებელნო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახლ-კარო,
გულში ამშლელო ბრალისა!
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
ყმათად მომცემო ძალისა!“
გაწირეს მგზავრთა სამუდმოდ
წყალი და მიწა თავისა.
შტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხვივილი ქარისა.
გადვიდნენ, ქედი გადავლეს,
თხრილი აღარ ჩანს კვალისა,
ერთი მოისმა შორიდან
მწარე ქვითინი ქალისა“.

კიდევ უფრო ღრმა ფსიქოლოგიურ კონფლიქტზეა აგებული ვაჟა-ფშაველას ეპოსის მეორე შედევრი „სტუმარ-მასპინძელი“. ზვიადაურის მასპინძელი ჯოყოლა და მისი ცოლი აღაზა, როგორც ქისტთა თემის წევრები, სრულიად წინააღმდეგნი არ არიან შურისძიებისა და იგინი სხვა პირობებში დაუყოვნებლივ მოჰკლავდნენ ზვიადაურს, რომელიც მათი მტერი აღმოჩნდება, მათი თემის ვაჟკაცების დამხოცველი: მაგრამ ათასწლოვანი მამაპაპური ადათი მათ ეუბნება, რომ ადამიანის უპირველესი ვალდებულება სტუმარმასპინძლობის წესის დაცვაა თვით მოსისხლე მტრის მიმართ: და მათს შეგნებაში კაცთმოყვარეობის მორალი უპირდაპირდება, როგორც სისხლის აღების ჩვეულებას, ისე რელიგიურ ცრუმორწმუნეობას. მაგრამ ეს ტრადიციული ძალები უძლეველნი აღმოჩნდებიან როდესაც ზვიადაურის მოუდრეკელობით, ვაჟკაცური სიკვდილით სულაფორიაქებული აღაზა ღამით სასაფლაოზე ადის, რათა მის გვამს, გარეული მხეცებისა და ფრინველების საჯიჯგნად მიტოვებულს, პირიდან სამი ღერი ბალანი აჰრას და ლეჩაქის ტოტში შეახვიოს, თითქო მთელი სამყარო დაიძვრის ახალგაზრდა ქალის დასასჯელად: მას მეორედ სამარეში ჩადებას უსაყვედურებს მისი მიცვალებული ძმა, მკვდრები საფლავებიდან გულისწყრომას უცხადებენ, ქვიშანი, მთები, ყვავილები, თვით საკუთარი გიშრის თმანი მიჰკივიან და უნამუსოს ეძახიან; და ბოლოს, მისი ქმრის გმირული სიკვდილის შემდეგ, მას ისღა დარჩენია, რომ თავი დაიღრჩოს მდინარეში. მაგრამ ეს სტუმარმასპინძელნი, ამქვეყნად გათიშულნი და დასჯილნი დროგადასული საზოგადოებრივი ტრადიციებისა და რელიგიური ცრუმორწმუნეობის წყალობით, საიქიოში, დაძმურად ერთდებიან და პოემა მთავრდება ბედნიერი სიზმრის მსგავსი ხილვით:

„კლდის თავს წადგება ჯოყოლა
სასაფლაოსკენ იძახის:
„ზვიადაურო, ძმობილო,
რად არ მიჩვენებ შენ სახეს?!“
სასაფლაოდამ წამოვა
აჩრდილი ფარხმალიანი,
გულზე უწყვია დაკრეფით
მკლავები სამკლავიანი.
მივა და მიესალმება
თავის ძმობილსა მდუმარედ,
იქვე აღაზაც ამოდის
სახე მოწყენით, მწუხარედ.
ენთება ცეცხლი მათ გვერდით,
მკრთალადა ბჟუტავს მთაზედა,
იმათ მასპინძლობს აღაზა,
ჯიხვის მწვადს უწვამს ალზედა...
მაგრამ გაჩნდება ჯანღი რამ
კურუმად, შავად ფერითა,
დაეფარება სანახავს
წერამწერელის წერითა...
მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიჭანავს ხვლეთა,
და უფსკრულს დასცქერის პირიმზე,
მოღერებულის ყელითა“.

* * *

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ იმავე ეპოქას ეხება, რომელიც აკაკი წერეთელმა ასახა თავის „ბაში-აჩუკში“, სახელდობრ XVII საუკუნის შუაწლებს. როდესაც ქართლ-კახელებმა ბიძინა ჩოლოყაშვილის და ქსნის ერისთავების მეთაურობით გაჟლიტეს კახეთის ციხე-სიმაგრეებში დაბანაკებული ერანელი ჯარები, აჰყარეს ალაზნისა და ივრის ველებზე დასახლებული თათრის ელები და ამრიგად კახეთი საბოლოო დენაციონალიზაციის საფრთხისაგან იხსნეს. მაშინ, როდესაც აკაკი სცდილობს ფართო ისტორიული სურათი დახატოს საერთო ნაციონალური ბრძოლის ფონზე, ვაჟა-ფშაველა მხოლოდ ერთს ეპიზოდს მოგვითხრობს, სახელდობრ ბახტრიონის ციხის აღებას და ერანელთა მეციხოვნე ჯარის გაჟლეტას თუშ-ფშავ-ხევსურთა მიერ. მაგრამ თემის ასე ვიწროდ შემოფარგვლის მიუხედავად ვაჟა-ფშაველამ თავის პოემაში განზოგადოებული მხატვრული სურათი მოგვცა და მისი სახით მონუმენტური ძეგლი დაუდგა პატრიოტულ გრძნობას ყოველი ნაციონალური და ისტორიული ჩარჩოების დამოუკიდებლად. „ბახტრიონში“ ნაჩვენებია, თუ რა სიმაღლეზე შეიძლება ავიდეს ერის კოლექტიური სული, როდესაც მას პატრიოტული თავგანწირულობის იდეა ამოძრავებს. ეს პოემა თითქო ავტორის ერთი უღრმესი სენტენციის ილუსტრაციას წარმოადგენს, რომელიც მან სხვა შემთხვევის გამო გამოსთქვა:

„ერთი წელი და ათასი
ბარდაბარია ჟამისა,
მაშ ჩვენი ტანჯვაც ჩავთვალოთ
სიბნელედ ერთი ღამისა“.

ის საუცხოო მისალმება ქედებისადმი, რომლითაც „ბახტრიონი“ იწყება, შეიძლება პანთეისტური ჰიმნოლოგიის ნიმუშად ჩაითვალოს. აქ თითქო მკითხველს წარმართი მოგვების ხმა ესმის საუკუნეების სიღრმიდან:

„მოგესალმებით ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიანი.
თქვენგანა ლაღობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი!
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ
ლაღიან ბარაქიანი“.

პოემის სუჟეტი ერთგვარი კონტრასტის გზით ვითარდება: გავერანებულ ფშავში თითქო მამაკაცი აღარ დარჩენილა, სალოცავი ხატის წინაშე ხევისბერის მაგივრად ხანში შესული დიაცი სდგას, რათა კულტის წესები შეასრულოს. ამ პირქუშ სურათს ფშავ-ხევსურთა რაზმების თავმოყრის სურათი მოსდევს: ქვეყანა არც ისე გაუკაცრიელებული ყოფილა, მაცნეს დაძახებისთანავე კლდეებიდან და ხეობებიდან მეომრები გამოდიან ქორშევარდნების გუნდების მსგავსად. მონუმენტურ შთაბეჭდილებას ახდენს მათი ზეაწვდილი დროშების ფრიალი და ქღერა, მათი ცხენების თქარათქური, მათი ქვეითა რაზმების მგლური ნაბიჯი. მათი წარდგომა ლაშარისჯვრის წინაშე, რომელიც წარმართული ომის ღმერთის და ქრისტიანთა წმინდა გიორგის გაერთიანებას წარმოადგენს, ქადაგის მიერ მფარველი ხატის დაკითხვა უღრმესი საიდუმლოების გრძნობითაა გამსჭვალული:

„მდუმარედ სდგანან, პირქუშად,
სულთქმაც კი გაიგონება,
მხედართა გულის პასუხი
ერთ ფიქრად შაიკონება:
ხატი რას ურჩევს ლაშქარსა,
რა გამოუვათ ბრძანება?
ქადაგი ხატს ეკითხება,
ჩურჩულით მოდის საჯარეს,
მხედართ, საუბრის გამგონეთ,
მუზარადები დახარეს...
აგერ ქადაგიც გამოჩნდა
განაცრებულის სახითა,
შემკრთალი იყო ისიცა
ხატის პირიაპირ ნახვითა“.

როდესაც ლაშქარი, შეჯავშნული და ლურჯ ცხენზე ამხედრებული ლაშარის-ჯვრის მეთაურობით, მტერზე იმარჯვებს და უკან ბრუნდება, მას სამშობლოში დასამარხავად საკაცით თან მოაქვს ძმად შეფიცული და გმირულად დახოცილი ლელას და კვირიას გვამები; სამაგიეროდ დაუმარხავად სტოვებს ომის ასპარეზიდან სულმოკლედ ლტოლვილი წიწოლას გვამს, რომელსაც თვით ივრის ტალღები სამდურავს ეუბნებიან.

და ეს პოემა, რომელიც ერთგვარი პანთეისტური „მამაო ჩვენოთი“ დაიწყო, პანთეისტური სურათით სრულდება. ფშაველების გმირი ხარდალი ლუხუმი მძიმედ დაიჭრა და ტყეში დარჩა უპატრონოდ. მაგრამ მისი კვნესის ხმა შეესმა ნისლივით ხეზე გაწოლილ გველს, ის მისკენ წავიდა ზლაზნით, თავისი მზარავი თვალებით დააცქერდა, სიბრალული იგრძნო და ლოკვა დაუწყო, რათა მისი ჭრილობები გაემრთელებინა. ის ერთი თვის განმავლობაში საზრდოს აწვდიდა სნეულ ლუხუმს და მთის წყაროს წყალს ასმევდა მას, ამასთანავე ორი ობოლი ძმის ზღაპარსაც უამბობდა:

„ამბობენ, შაძლებინა
სნეულსო ფეხზე დადგომა,
ელირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა“.

ზოგიერთმა მკითხველმა დაჭრილი და ტყეში დაკარგული ლუხუმი, რომელსაც გამრთელება და ფეხზე წამოდგომა მოელის, საქართველოს სიმბოლურ სახედ მიიღო, და ავტორს პროტესტი არ გამოუცხადებია ასეთი ინტერპრეტაციის წინააღმდეგ.

ფართო საზოგადოებაში ნაკლებ ცნობილია ვაჟა-ფშაველას ხუთმოქმედებიანი დრამა „მოკვეთილი“, რომელიც თავისი სიუჟეტით რამდენიმედ შექსპირის „კორიოლანუსს“ მოგვაგონებს. როგორც მეხუთე საუკუნეში ქრისტეს წინ რომის პლებსის მიერ შეურაცყოფილი და და გაძევებული თავმოყვარე რომაელი მხედართმთავარი კორიოლანუსი სამშობლოს მტრის ბანაკში მივიდა, რათა რომი დაესაჯა, ისე ფშავის თემის მიერ შეურაცყოფილი და მოკვეთილი ბახა ქისტებს მიემხრო, რათა პირადი შურისძიების გრძნობა დაეკმაყოფილებინა მაგრამ როგორც კორიოლანუსს მის ანტიპატრიოტულ განზრახვაზე დედის და ცოლის მუდარამ აალებინა ხელი, ისე ბახას შეგნებაში პატრიოტულმა სტიქიონმა დედის შთაგონების და ძახილის გავლენით გაიღვიძა. დრამატიული კვანძის სინათლით, ხასიათების მონუმენტალობით, ფსიქოლოგიური სიმართლით და ზნეობრივი სიღრმით ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ ქართული დრამატიული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

* * *

ვაჟა-ფშაველას რამდენჯერმე შევხვდი მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ეს იყო ახოვანი, ბრგე ვაჟკაცი, მხოლოდ მის დარბაისლურ სახის გამომეტყველებას, ცოტა არ იყოს, დაშავებული ცალი თვალი ამახინჯებდა. მისი გამოხედვა გამჭოლი მეჩვენა: როგორც ეტყობოდა ის ისევე ღრმად იხედებოდა ადამიანის სულში, როგორც ბუნების სულში ჩაიხედა. მას ახასიათებდა კეთილშობილური სიამაყე ყოველივე მედიდურობის გარეშე, დიდი უშუალობა ყოველივე მეამიტობის გარეშე. ავადმყოფობამ უცებ მოსტეხა. როდესაც 1915 წლის გაზაფხულზე, სამიოდე თვის წინ მის გარდაცვალებამდე, უკანასკნელად შევხვდი, თვალწინ ფერმკრთალი და გაჭაღარავებული მოხუცი წარმომიდგა.

ქართველმა საზოგადოებამ სიკვდილის წინ უკეთ მოუარა, ვიდრე სიცოცხლეში უვლიდა: ის გარდაიცვალა ცხელ ზაფხულში, სავადმყოფოს უჰაერო ოთახში; მაგრამ ისევე ვაჟკაცურად მოკვდა, როგორც მისი გმირები კვდებოდნენ მთის კალთაზე, — ბებერი არწივებისა და ყელმოღერებული პირიმზეების მიერ დატირებულნი.

მან დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მაგრამ რაც მან დაგვიტოვა არ არის მარტოოდენ პოეზია: მისი ანდერძი აგრეთვე დიდ მორალურ საგანძურს შეიცავს. მან ნახევარი საუკუნე იცოცხლა, ამ ხნის განმავლობაში ხშირად განუცდია სიმშილი და სიცივე. მაგრამ არასოდეს არ უღალატია თავისი პატრიოტული და მოქალაქეობრივი ვალდებულებისათვის. მისი ლირიკის, ეპოსის და პროზის შედევრები ნავთის სანათურის ან ფიჩხის ცეცხლის მბჟუტავ სინათლეზეა დაწერილი, მაგრამ მათ თითქო ბედნიერი ცხოვრების ხილვა ანათებს და ის სიტყვები, რომლითაც მან სამშობლოს სიყვარული და ჩაგრული არსების სიბრალული გამოსთქვა, ადამიანს გულის სიღრმეში სწვდება მაღლიდან გადმომდგარი ხარის ბღავილივით:

„ხარს ვგავარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვზუზუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ.
საწყალი საწყლობა რო მესმის,
იმათ მაგივრად ვწუწუნებ,
ხანდახან ჟინი ამიოვს,
სიმღერას დავაგუგუნებ“

---

*) დასასრული იხ. „ლიტ. და ხელ.“ № 26

პარმენ ჟანიშვილი

საბავშვო დრამატურგიისათვის*

ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო საბავშვო პიესაზე. ამ კონკურსს უდავოდ დიდი მნიშვნელობა ექნება მაღალმხატვრული და პედაგოგიურად გამართლებული საბავშვო დრამატურგიის განვითარებისა და საჭირო რეპერტუარით მოზარდთა თეატრების უზრუნველყოფისათვის. ამიტომ კონკურსთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა რამდენიმე მოსაზრება გამოვსთქვათ საბავშვო პიესაზე, რომელსაც მრავალი თავისებურება გააჩნია.

საბავშვო დრამატიული ნაწარმოები, ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მცირე ასაკის ბავშვისათვის განკუთვნილ პიესას, — პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს ნორჩ მაყურებლის ასაკიდან გამომდინარე სპეციფიკას. საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვთათვის, რომელთაც გააჩნიათ ლოგიკური აზროვნების უნარი, შეიძლება გამოვიყენოთ ყველა სახის პიესა, თუ ის აღმზრდელობითი თვალსაზრისით მისაღებია. ხოლო მცირე ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილი საბავშვო პიესის ავტორმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს ვისთვის სწერს, ღრმად და საფუძვლიანად უნდა იცოდეს მაყურებლის ბუნებისა და შემეცნებითი უნარის თავისებურება, ამ თავისებურებიდან გამომდინარე პრინციპები.

რასაკვირველია, საბავშვო პიესა უნდა აკმაყოფილებდეს საერთო ლიტერატურულ და სასცენო მოთხოვნილებებს, მაგრამ საბავშვო დრამატურგია ისეთ მოთხოვნილებებსაც აყენებს, რომლებიც რადიკალურად ანსხვავებს საბავშვო პიესას ჩვეულებრივი პიესისაგან და ერთგვარად აადვილებს კიდეც მასზე მუშაობას. თუ, მაგალითად, პიესის სცენიურობისათვის საერთოდ საჭიროა, რომ კონფლიქტი მოცემულ იქნას მოქმედებაში და მოქმედება ვითარდებოდეს თანმიმდევრობით, კომპოზიციური მთლიანობის დაურღვევლად, მცირე ასაკის ბავშვთათვის დაწერილ პიესისათვის არ არის სავალდებულო ამ პრინციპის დაცვა. საბავშვო ლიტერატურის გამოცდილება გვეუბნება, რომ ყოველთვის არ არის აუცილებელი ფაბულის მთლიანობა და მისი განვითარების თანამიმდევრობა, რადგან მცირე ასაკის ბავშვს არ შეუძლია ლოგიკურად გაჰყვეს სუჟეტის თანმიმდევრობას, იგი სახეებით აზროვნებს და შთაბეჭდილებებს დასრულებული ეპიზოდებიდან იღებს; ამ შემთხვევაში შეიძლება მაგალითისათვის გამოვიყენოთ ზღაპრის ანალოგია, მისი თავისებურებანი და ხერხები.

შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ ამ ასაკის ბავშვებს ერთნაირად უყვართ ზღაპარი და თეატრალური წარმოდგენა; რა არის დამახასიათებელი ზღაპრისათვის? ზღაპრის მცოდნეების — მიულერის, ფორტუნატოვის, სოკოლოვის, პროპისა და სხვების გამოკვლევით ზღაპარს ახასიათებს: პირველი — საინტერესო შინაარსი; ეს მთავარია; მეორე — მცირე რიცხოვანი პერსონაჟი, უმთავრესად ერთი გმირი; თუ მეორეც არის, ადგილი აქვს მათ დაპირისპირებას; მესამე — ზღაპრის ტიპები ზოგადი და მარტივია, მოქმედი პირის ხასიათი მოცემულია ერთი ორი გაზვიადებული (ჰიპერბოლა) თვისებით და არ ვითარდება, არ იცვლება; მეოთხე — ზღაპრის გარემოც მარტივია, მაგრამ სავსეა დინამიურობით; მეხუთე — მოქმედება ზღაპარში ვითარდება პირდაპირი ხაზით, ზღაპარი არასოდეს არ მიმართავს რთულ სიტუაციებს და ხლართებს, მეექვსე — ზღაპრის ეპიზოდები არ გამომდინარეობენ თემის მთლიანობისაგან, არც სუჟეტის განვითარებისაგან — ყოველი ეპიზოდი, ყოველი შემთხვევა თავისთავად არის საინტერესო; მეშვიდე — გამოსახვის საშუალებანი ზღაპარში პრიმიტიულია და მარტივი, გრიმების ზღაპრებში ერთმა მკვლევარმა სულ ორი მეტაფორა და თორმეტი შედარება აღმოაჩინა. ზღაპარი ერიდება აღწერას, მსჯელობას, ლირიზმს, მისი ენა უაღრესად დახვეწილია; მერვე — ზღაპარი მუდამ თავდება გმირის გამარჯვებით.

თანამედროვე თეატრს უმდიდრესი სანახაობითი საშუალებანი გააჩნია, მას შეუძლია ნაკლებ საინტერესო შინაარსიც ისე გააფორმოს, ისე აჩვენოს მაყურებელს, რომ მისი აღტაცება გამოიწვიოს; ეს უნდა გაითვალისწინოს საბავშვო დრამატურგიამ და თეატრმა, რათა ზოგი რამ, რაც გარეგნულად არც ისე საინტერესოა — წარმტაცი ფორმით მიაწოდოს ნორჩ მაყურებელს. მაგრამ პიესა უნდა დაიწეროს ისე, რომ გასაგები და საინტერესო იყოს ბავშვისათვის სცენიურ-სანახაობითი საშუალებისაგან დამოუკიდებლადაც. სცენიურ გაფორმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თუ პიესა თავისი კომპოზიციითა და შინაარსით არ ეფარდება ბავშვის ბუნებას, მისი ათვისების შესაძლებლობას, იგი, რაგინდ კარგად არ უნდა იყოს გაფორმებული, გაუგებარი დარჩება.

საბავშვო დრამატურგიისათვის ყველაზე სახიფათოა დრამატურგიის მზამზარეული პრინციპების გამოყენება. მისთვის არ უნდა იყოს სავალდებულო მუდამ და ყოველთვის დაიცვას თემის მთლიანობა და თანმიმდევრობის პრინციპი. ასეთ რამეს ადგილი არა აქვს ზღაპრებში, მაგრამ ისინი მაინც აღწევენ მიზანს — შეუნელებელ ინტერესს იწვევენ; მართალია ზღაპარი ამას აღწევს უჩვეულო შინაარსით, ვინაიდან სანახაობას ვერ მიმართავს. თეატრს კი შეუძლია ჩვეულებრივი შინაარსიც ისე გააფორმოს, რომ დიდი ინტერესი გამოიწვიოს მცირე ასაკის ბავშვებში.

ზღაპრის პრინციპები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, უნდა გამოიყენოს მცირე ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილი პიესის ავტორმა. საბავშვო დრამატურგიული ნაწარმოებისათვის სავალდებულო არაა მთლიანობისა და თანმიმდევრობის დაცვა. პიესის დედააზრი უნდა იყოს მარტივი, მოქმედება ვითარდებოდეს სწრაფად და პირდაპირი ხაზით. მოქმედი პირი უნდა იყოს ერთი ან ორი. ეს არ უარყოფს მასობრივ სცენებს, რაც ძალიან უყვართ ბავშვებს. მასობრივი სცენები გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც ფონი. საბავშვო პიესის დასასრული ოპტიმისტური უნდა იყოს.

---

*) იბეჭდება საკითხის განხილვის წესით. რედ.

დავით შამათავა

კარლო კალაძის ლექსები

კარლო კალაძის ომისდროინდელ ლექსებში მოსჩანს არა მარტო თემატიური, არამედ პოეტური ხერხების გარდაქმნაც. ამ წლებში პოეტის სიტყვამ უფრო დინჯი, ეპიური ელფერი მიიღო; იგი თანაბარის უშუალობით მოგვითხრობდა, როგორც ჩვენი სახელოვანი ფრონტელების ბრძოლაზე, ისე შინ დარჩენილთა შრომით მამაცობაზე. პოეტი გვიხატავდა ჩვენი ქვეყნის ვაჟებსა და ქალიშვილებს, მათ სასიცოცხლო ინტერესებს, მათ მაღალ პატრიოტულ გზნებას და თავდადებას. ახალგაზრდობა დიდ სამამულო ომში—ასეთია აღნიშნულ ლექსების ძირითადი თემატიური რკალი.

ამ მხრივ დამახასიათებელია „თამარის ოცნება". საინტერესოა ის თავის ინტიმით და სიწრფელით. ომში წასულან ბიჭები. თამარ ქალს ძილში დასჩემდა, თითქოს, ვიღაც უცნობი ყოველ ღამით ეფიცება მეგობრობას და, როცა სახელი უნდა ჰკითხოს, გულისცემით გამოეღვიძება. როგორც ძვირფასი თვალი, ისე ელავს ღრუბლები:

„ვარსკვლავი ერთი, შორი ვარსკვლავი
თამარის სარკმელს შემოეჩვია".

და გადაწყვიტა თამარქალმა ფრონტზე მყოფ ვაჟკაცთა შორის ერთს რომელიმეს ჩააცვას ღაწლის პერანგი და ყელს მოახვიოს თბილი საყელო. ასე, შემოდგომის გრძელსა და მოსაწყენ ღამეებში უქმად არ ზის გოგონა. პოეტი გვიამბობს:

„მაგრამ თლილ თითებს აჰყვებათ ძაფი,
ჰხრის თამარქალი მოწყენილ მზერას,
და ყაისნალი ფიქრივით სწრაფი
მიჰბაძავს ქართულ ანბანთა წერას!
დე, ამოქსოვოს მარყუჟი ცალფად,
განასკვოს როგორც ქარაგმა გულთა...
ეგ საიდუმლო ბარათი, ალბათ,
ბრძოლის ველისკენ აფრინოს უნდა".

თამარქალმა ჩუმად ბედს მიანდო არჩევანი, დაე მან შეარჩიოს მებრძოლთა მწყობრში ის. მარტოობის სევდა ვერ დატანჯავს ჩვენს მებრძოლს, მის ზურგში სდგას ჩვენი დიდი ქვეყანა. პოეტი ამთავრებს:

„მოიგერიებს ქარსა და ყინვას,
გზნება იმ ერთი ნაპერწკალისა,
წინ აღუდგება ქვემეხთა გრგვინვას
სახელი უცნობ თამარქალისა".

ხალხური მოტივები ისმის ლექსში „ფანდურის ხმა". მტერს შორეულ ბრძოლის ველზე ხვდება ქართველი პარტიზანი. მისი ქართული შეძახილი ისმის დნეპრის პირად. ღამით ქართველი ვაჟკაცი ცაში იმ ვარსკვლავს ეძებს— თბილისს რომ დაჰნათის ყოველთვის, მას აგონდება თავისი ქვეყანა. მაგრამ ერთი დარდიც თან გაჰყოლია შორს ყმაწვილკაცს, რომელსაც ვერ ჰმალავს და დამღერის „სხივებით გაბმულ სიმებს":

„დაშორებულ გულს მათრთოლებს
მხოლოდ თქვენი მოგონება,—
ეს რა დარდი გამაყოლეთ
ჩემი სოფლის გოგონებმა!
მაინც მჯერა, მოვესწრები
თქვენთან მღერას, თქვენთან ქორწილს,
მტერი ველარ გადმოიფრენს —
მტაცებელი ჩვენი ხორცის"...

სატრფიალო ლექსების ციკლს მიეკუთვნება „მოგონებაც". მასში არის შორით ტრფიალის კდემამოსილება; ამბავი ხდება მაშინ, როცა მებრძოლი კავკასიის დამშვიდებულ მთებზე გადადიოდა, სიმშვიდე იყო, ციცაბოების სიჩუმეში იდგა სოფელი. მგზავრს სოფელთან დაუღამდა:

„თითქოს განგებ დამიღამდა,
თქვენი სოფლის ქვემოთა,
რომ ის ერთად-ერთი ღამე
თეთრად გამთენებოდა".

მხედარს კართან შემოეგება კოხტა ქართველი ქალი. გახალისდა მგზავრი, გულში ჩარჩა ყმაწვილ ქალის სახე. შემდეგ ბრძოლების შუალედებში აგონდება მას ის შეხვედრა და მეტი ხალისით იბრძვის.

ამ ლექსშიაც პოეტი იცავს ხალხური ლექსის რიტმსა და სისადავეს, ამიტომ იგი უშუალოა და შესაფერ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე.

ჭარბი სალებავები, პოეტური სახეები ამკობს ლექსს „ჩვენს ქალიშვილებს". ომია, ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები მებრძოლთა რიგებში ჩადგნენ და ღირსეულად მხარს უმშვენებენ ვაჟკაცებს. მათ ქუდებზე ვარსკვლავთა შუქი გამოკრთის, ქალიშვილის ნაზი მხარი შეეთვისა და მორგია სამხედრო ქამრის სიმძიმეს. ადრე კი, მშვიდობიანობის დროს, ისინი „ია-ვარდით მოქარგულ კაბას გაზაფხულივით შეიფერებდნენ". საბჭოთა ქვეყნის ქალიშვილების ღრმა პატრიოტიზმი, თავდადება არის ასახული დასახელებულ ლექსში.

ფართო ყურადღების ღირსია ბალადა „ჯარისკაცთა საუბარი". კავკასიის დაცვის მრისხანე დღეებში თერგის მხარეში ომგადახდილი ქართველი ჯარისკაცები ცეცხლის პირად სხედან. მათი საუბარი ეხება იმ განუზომელ ამაგს, რომელიც დასდო ჩვენს ქვეყანას ქართველი ხალხის სამაყო შვილმა **ლ. პ. ბერიამ** ჯერ მშვიდობიანობის პერიოდში და შემდეგ სამამულო ომის მძაფრ დღეებში. მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის აყვავება. საქართველოს მშრომელები მან სამშობლოსადმი, **დიდი სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით აღზარდა. ვის არ ახსოვს მისი მშობლიური ამაგი! შესვენების დროს ქართველი ჯარისკაცი იგონებს ერთ თოვლიან დღეს, რომელიც სამუდამოდ დარჩენილა მის მეხსიერებაში, ამ დღეს მას ნარინჯების ბაღში ძვირფასი სტუმარი ეწვია:

„ვეხმიანები ხალისიანი,
ხმა სახლი-კაცის ხმას მივამსგავსე.
მაგრამ შეირხა ბუჩქი შრიალით
და უცხო კაცი დამადგა თავზე.
ამბობს: ვაჟკაცო აი ვის ჰქვია!
მხარზე ხელს მადებს თვალმომცინარი.
ვუცქერი იმის ღიმილს და გვიან
მხოლოდ გუმანით ვიგებ ვინც არი".

ქართველი ჯარისკაცისათვის მშვიდობიანი დროის ეს მოგონება დაუვიწყარია, იგი ახსოვს მას ყველგან—თუნდ შინ იყოს და თუნდ ბრძოლის ველზე მიიჩქაროდეს. მებრძოლი ასე ამთავრებს თავის ამბავს:

„არა, აქამდის არ ამოშლილა
იმ თოვლში მისი ნაბიჯის კვალი...
ჩემს ოჯახს ახლაც დაჰნათის დილა
და იმ კეთილი მსურველის თვალი".

მერე მეორე ჯარისკაცი ჰყვება ამბავს. ეს ნამწყემსარი კობაა. იმავე წელს ცხვარში ეყო კობა. ციოდა უკვე. ქციის მთებიდან კახეთისაკენ დაიძრა ცხვარი, გზად ერთ საღამოს შეისვენეს მწყემსებმა. მწყემსს ერთი უძლური კრავი ხელთ აეყვანა და ბალღივით ეალერსებოდა.

როცა კობა კახეთში დაბრუნდა—მას სახლში წერილი დაუხვდა; მზრუნველი ხელი სწერდა: „ერთი ალალი მწყემსის სახელით შენ ვაჟკაცობა დაიმკვიდრეო". კობამ გახსნა გულჯიბე, მონახა წერილი. პოეტი დასძენს:

„მიუხედით კობას გაღიმებულსა,
მკლავს ულოცავდა თითონ ბერია.
მიუხედით ქართველ მებრძოლის გულსაც
ბარათის ფარქვეშ რად უძგერია".

ეს მოგონებები უჩვეულო ძალით აღაფრთოვანებდა ქართველ მებრძოლებს კავკასიის დაცვის დღეებში; ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ უდიდესი საფრთხის დღეებში, როცა მძვინვარე მტერი საქართველოს და მოძმე რესპუბლიკების აოხრებას ლამობდა, ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ ბრწყინვალედ განახორციელა კავკასიის მისადგომებთან გერმანელ ფაშისტთა ურდოების განადგურების დიადი სტალინური გეგმა. ეს ლექსი მთავრდება კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეის გადმოცემით:

„მოესმათ, როგორც ბრძოლის ნაღარა,
მისი მანქანის ხმა დარიალებს,
. . . .
სჩანს იგი როგორც მთების იმედი,
იმედი ცეცხლით დამწვარ მდელოსი,
და მთებს არტყიათ კიდით კიდემდი
ძველი სიმტკიცე საქართველოსი".

კავკასიის დაცვის დღეებზე კ. კალაძემ დასწერა აგრეთვე საყურადღებო ლექსი „საარტილერიო დუელი". მასში არის თავისებური პოეტური გააზრება; მძვინვარე მტრის სახე სიკვდილთან არის შედარებული. მკვლელი როდი ჰგავდა წიგნებში დახატულ სიმბოლურ სიკვდილის ჩონჩხს, ის უფრო მეტად საძულველი იყო. ლექსში დიდი სამამულო ომის ის პერიოდია დახატული:

„როცა ქართული არტილერია
ყაბარდოს ველებს დაჰგრიალებდა".

თუმცა ასჯერ მოაკლდა ზვიად კლდეებს სიკვდილი, მაგრამ ის მაინც დამარცხებული დარჩა. აქ ნამდვილი დუელია წარმოდგენილი პირისპირ მდგარ სიკვდილ-სიცოცხლისა.

კ. კალაძის ომის პერიოდის ლექსებიდან ფართო პოპულარობა ხვდა წილად „თამარქალის სიმღერას", („ვისაც სურდა ჩვენი ტანჯვა ენახა"...). მასში ავტორმა საუკეთესოდ შეაერთა ჩვენი ხალხის მისწრაფება მტრის გასანადგურებლად და შინ დარჩენილთა ღრმა სიყვარული თავიანთი ღირსეულ დამცველებისადმი. ლექსს ბოლომდე გასდევს თავისებური რეფრენი, რომელშიაც გამოხატულია დიდი სიყვარული სამშობლოს დამცველ ვაჟკაცებისადმი.

კ. კალაძის ლექსი თავისებურია: ჭარბი სახეებით დატვირთული, ზოგჯერ მძიმეც. შესაძლოა რთული შედარებანი, მეტაფორები, თავისებური ეპითეტები იწვევდნენ ყოველივე ამას. პოეტს აქვს ორიგინალური სახეები, შედარებანი. ეს გარემოებაც ტიპიურია კ. კალაძის პოეზიისთვის. საყურადღებოა ასეთი მაგალითები: მზის ამოსვლა მას „ავთანდილის ამოხედვას" აგონებს, ან კიდევ იგი საინტერესოდ ხატავს ერთ სტრიქონში მთელ სურათს: ფიქრივით სწრაფი ყაისნალი ძველი ქართულ ანბანის მსგავს ორნამენტებით ჰქარგავს ქალის კალთაზე გადაშლილ ქსოვილს.

მაგრამ კ. კალაძეს აქვს ზოგი გაუგებარი სახეც და შედარებაც, რაც უთუოდ ნაკლს წარმოადგენს ამ ნიჭიერ პოეტისათვის. ნაჩქარევია სტრიქონები: „წელს მოხვეული მარჯვენა გახმა, მაინც სიკვდილმა იმსხვერპლა გვიან". ან კიდევ ასეთი რამ:

„და ღამეების გათენებითა
მეშვიდე ღამით ვიხილეთ მტკვარი".

ძირითადში კი პოეტის ლექსი, ნათელია, გამსჭვირვალე, ღრმა აზრის დამტევი და შესაფერი ემოციის გამომწვევი.

კოლაუ ნადირაძე

შენ ჩემში სცოცხლობ

შენ ჩემში სცოცხლობ, ო, ერთად-ერთო, ჩემი სიცოცხლის უშრეტო წყარო!
შენ ჩემში სცოცხლობ, ჩემში არსებობ და იარსებებ, დაუვიწყარო.
მე მისთვის დავრჩი—შენს ნათელ ხსოვნას სიკვდილის ხელი არ მივაკარო!

შენ ეს სამყარო დასტოვე ჩუმად და მდუმარების ეწვიე ბაღებს...
მაგრამ ეს შენ ხარ ნაზი ღიმილით სინათლის კარებს ჩემში რომ აღებ!
ო, ეს შენა ხარ, სულის სიღრმეში უწმინდეს ფიქრთა ტაძარს რომ აგებ!

მუდამ გაისმის შენი ხმა ჩემში, უჭკნობ ყვავილად გულში ჩარგულო!
ვიდრე ვარსებობ—შენ არ მომკვდარხარ და... არაფერი არ დაკარგულა!
მე მასულდგმულებს ეს დიდი ტანჯვა და სიყვარულით ვარ გათანგული!

მე არ ვაჩქარებ შეხვედრას შენთან—ჟამი ამისთვის არ დაკარგულა...
მე მინდა სიკვდილს ჯერ გავუმკლავდე და გულში მიზნად მაქვს დასახული:
ცოტა ხანს დავრჩე, როგორც ჭურჭელი, სადაც შენ კიდევ ხარ შენახული!

მოხსენებები ქართულ ფოლკლორზე

ლენინგრადში ივნის-ივლისის განმავლობაში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების სხდომებზე ქართულ ფოლკლორის შესახებ წაკითხულ იქნა სამი მოხსენება. „სამშობლოს დაცვის იდეა ქართულ ხალხურ პოეზიაში" — ასეთი იყო საქ. მეცნ. აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფრ. მეცნიერი თანამშრომლის ელ. ვირსალაძის მოხსენების თემა; „ისტორიული ხასიათის ციკლები ქართულ ხალხურ პოეზიაში"—ამ თემაზე მოხსენებით გამოვიდა საქ. მეცნ. აკადემიის ქართული ლიტ. ისტორიის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი ქს. სიხარულიძე. დასასრულ, მესამე სხდომაზე, 12 ივლისს, მოსმენილი იქნა დოც. მიხეილ ჩიქოვანის მოხსენება — „ქართული ფოლკლორის განვითარების გზები".

ქართველი ფოლკლორისტების მოხსენებებმა რუს მეცნიერთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. გამართულ მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს აკად. ვ. ვ. სტრუვემ, პროფესორ-დოქტორებმა მ. კ. აზადოვსკიმ, პ. ნ. ბერკოვმა, ვ. ი. პროპმა, ა. მ. ასტახოვამ; დოცენტებმა — ა. ნ. ლოზანოვამ, ა. კალესნიკოვამ და სხვ. მათ აღნიშნეს ქართული ფოლკლორისტიკის თვალსაჩინო ზრდა და ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს კავკასიის, კერძოდ ქართველი ხალხის ზეპირსიტყვაობას ზოგადი თეორიული პრობლემების გადაწყვეტის დროს. უკანასკნელ სხდომაზე ღრმა შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა საკ. მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, გამოჩენილმა ორიენტალისტმა აკად. ვ. ვ. სტრუვემ. მისი ყურადღება მიიქცია თრიალეთსა და სამთავროში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლებთან ქართული მითოლოგიური თქმულებების დაკავშირების ცდამ. აკად. სტრუვემ გაიზიარა მომხსენებლის აზრი იმის შესახებ, რომ თრიალეთურ ვერცხლის ფრიზებიან თასზე გამოსახულია ნადირობის ღვთაების დალის მითი რიტუალურ კომპოზიციაში. ამით შესაძლებელი ხდება ამირანის ეპოსის დათარიღება მეორე ათასეულის ბოლოთი ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ასევე საინტერესოდ იქნა მიჩნეული ქართულ და კავკასიურ ფოლკლორთან ბერძნულ წყაროებში დაცული თქმულებების შედარება.

აკად. ვ. სტრუვემ ქართველ ფოლკლორისტებს ერთერთ ამოცანად დაუსახა იმუშაონ წინაირანული მოსახლეობისა და კავკასიურ-იაფეტური ხალხების ფოლკლორული ურთიერთობის პრობლემების გარკვევაზე. ბოლო დროს გამოთქმულია აზრი უცხოელ მკვლევართა მიერ კავკასიურ-იაფეტური ხალხების ზეპირსიტყვიერების ფართო გავლენის შესახებ. ეს გარემოება კიდევ უფრო აქტუალურს ხდის აღნიშნულ საკითხებს, მათი გამოკვლევა ნათელს ჰფენს ქართული ფოლკლორის განვითარების უძველეს საფეხურს და მის ადგილს საერთაშორისო ფოლკლორისტიკაში.

მოხსენებები დაიბეჭდება „სოვეტსკი ფოლკლორის" მორიგ ტომში.

ბესარიონ ჟღენტი

„ტირიფის ქვეშ"

რუსთაველის სახელობის თეატრში

გრ. ბერძენიშვილის პიესამ „ტირიფის ქვეშ", დაწერილმა ა. ბელიაშვილის ნოველების მიხედვით, თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა განვლილი თეატრალური სეზონის რეპერტუარში. ყველაზე ადრე იგი თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა დადგა. როგორც რეჟისორული ხელოვნების, ისე აქტიორული შესრულების მხრივ ხსენებულმა თეატრმა ამ პიესის განსახიერებას თავისი საუკეთესო შემოქმედებითი შესაძლებლობანი მოახმარა და მიმზიდველი, საინტერესო სპექტაკლი შექმნა, რომელიც თეატრის თვალსაჩინო ნამუშევართა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს.

შემდეგ რუსთაველის თეატრის გარდა „ტირიფის ქვეშ" თავის რეპერტუარში მეიტანა რამდენიმე რაიონულმა თეატრმა. მაყურებელთა დასწრებისა და რეაქციის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ პიესა წარმატებით სარგებლობს.

ეს გარემოება მოწმობს, თუ რამდენად დიდია ჩვენი თეატრების მისწრაფება განასახიერონ პიესები დიდი სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის გმირთა შესახებ, რამდენად დიდია საბჭოთა მაყურებლის ინტერესი ისეთი მხატვრული ნაწარმოებების მიმართ, რომლებიც მიზნად ისახავენ უძლეველი საბჭოთა ხალხის იმ მაღალ სულიერ ღირსებათა გამოხატვას, რომელთაც შესაძლებელი გახადეს ჩვენი სამშობლოს დიადი გამარჯვება.

ამასთანავე გრ. ბერძენიშვილის პიესას აქვს ისეთი თვისებანი, რომელთაც შეუძლიათ გარკვეული ინტერესი გამოიწვიონ მაყურებელთა შორის: პიესა თანმიმდევრულად ღრმავალ სუჟეტს ემყარება, მთელ რიგ შემთხვევებში იგი მძაფრად მოფიქრებულ დრამატიულ სიტუაციებს შეიცავს, არის პიესაში მელოდრამის ელემენტები, რომლებთანაც შეზავებულია მსუბუქი ჰუმორით აღბეჭდილი პასაჟები. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ პიესის თემატიურ აქტუალობას, მასში აღძრული საკითხების ცხოველ სადღეისო მნიშვნელობას, ადვილი გასაგები იქნება, თუ რატომ მიიპყრო ამ ნაწარმოებმა ჩვენი თეატრებისა და საზოგადოებრიობის ყურადღება.

პიესის ასეთი „ბედი" არამც თუ ხელს არ გვიშლის, არამედ მეტის პასუხისმგებლობით გვავალებს გავარკვიოთ და ცხადვყოთ, რომ ასეთ მოსაჩვენარ ღირსებათა მიუხედავად, ეს ნაწარმოები ყალბ თვალსაზრისზეა აგებული, მასში არასწორად, დამახინჯებულად არის გამოხატული ფრონტისა და ზურგის მოწინავე ადამიანთა სულიერი სამყარო, მცდარად არის დასმული და გადაწყვეტილი პიესაში აღძრული ძირითადი საკითხები.

ეფექტური სუჟეტით გატაცებულმა ავტორმა ანგარიში არ გაუწია პიესაში დასახულ სიტუაციათა რეალურობისა და ფსიქოლოგიური სიმართლის ამოცანას და არსებითად დასცინა, ცილი დასწამა თავისი ნაწარმოების პერსონაჟებს, რომლებიც დრამატურგს დადებითი გმირებად, ჩვენი დროის მოწინავე ადამიანებად ჰყავს წარმოდგენილი.

ორ მეგობარს, საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ახალგაზრდებს—ანდრო მელქაძეს და ბეჟიკო მაღრაძეს მოსწონთ და უყვართ ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი—ციცინო, ლამაზი, ჭკვიანი, პატიოსანი და გულწრფელი გოგონა. ანდრო და ბეჟიკო გულმოდგინედ ექიშპებიან ერთმანეთს. ციცინოს არჩევანი ანდროზე შეჩერდა. ქალს უპირატესად მოეწონა და წრფელად შეუყვარდა კიდეც ანდრო. ციცინოს მშობლებიც გახარებული არიან მათი ასულის ასეთი არჩევანით. ყველაფერი მზადაა ქალ-ვაჟის შეუღლებისათვის, მაგრამ ანდრო ფრონტზე გაიწვევს და მანაც უყოყმანოდ მიაშურა ბრძოლის ველს თავისი მაღალი პატრიოტული ვალის მოსახდელად. განშორებისას ქალ-ვაჟმა სიყვარულისა და ერთგულების მტკიცე ფიცი მისცეს ერთმანეთს. ამ აღთქმის სიმბოლოდ ანდრომ თავისი სახელი ამოსჭრა იმ ტირიფზე, რომელიც ციცინოს ეზოში იდგა და რომლის ქვეშაც ციცინოსა და ანდროს მრავალი ტკბილი და ნეტარი წუთი გაუტარებიათ.

ომის მძვინვარე ვითარებაში, როცა ანდრო თავდადებულად იბრძოდა ფრონტზე, ციცინოც დაუღალავად შრომობდა საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანებთან ერთად, მაგრამ იგი თანდათანობით ჰკარგავდა სულიერ სიმშვიდეს და წონასწორობას იმის გამო, რომ ანდროსაგან დაპირებული ბარათები იგვიანებდნენ. გადიოდა დრო—კვირეები, თვეები და ანდროსაგან არაფერი ისმოდა. ორი წლის უშედეგო მოლოდინი ტანჯვად გადაექცა ციცინოს. ალბათ, დაიღუპა ანდრო, მაშ, როგორ შეიძლებოდა, რომ მას ერთხელ მაინც არ გაეხსენებინა თავისი ციცინო და არაფერი მოეწერა მისთვის. ასეთი მწარე ფიქრი და ეჭვი ეუფლებოდნენ ქალის გრძნობა-გონებას. სოფლად დარჩენილმა ბეჟიკომ გააძლიერა „იერიშები" ციცინოზე. რაკი მეტოქე უგზოუკვლოდ გადაიკარგა, ბეჟიკომ განიზრახა ახლა მაინც დაემორჩილებინა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ქალის გული და ცოლად შეერთო ციცინო. და თუმცა ქალი გადაჭრით უარს ეუბნებოდა ბეჟიკოს, დაჟინებით იცავდა ანდროსათვის მიცემულ ერთგულების ფიცს, ბეჟიკო მაინც ძალღონეს არ ზოგავდა თავისი განზრახვის განხორციელებისათვის. ციცინოს მშობლებიც დარწმუნებულნი იმაში, რომ ანდრო ბრძოლის ველზე დაღუპული უნდა იყოს, დაჟინებით დაუწყეს რჩევა და მოთხოვნა ციცინოს, რომ ცოლად გაჰყოლოდა ბეჟიკოს. მამამ კინაღამ შინიდან არ დაითხოვა გაჯიუტებული ქალიშვილი. ციცინომ დიდხანს გაუძლო ბეჟიკოსა და თავისი მშობლების ზემოქმედებას, მაგრამ ბოლოს გატყდა მისი ნებისყოფაც და ერთხელ, როდესაც ბეჟიკო მასთან მივიდა უკანასკნელი პასუხისათვის, საკითხის საბოლოოდ გამორკვევისათვის, ციცინომ, შეშინებულმა იმით, რომ ანდროც არ დაეკარგა და ბეჟიკოც, ამ უკანასკნელს განუცხადა თავისი თანხმობა ცოლობაზე.

გახარებული და უზომოდ ბედნიერი ბეჟიკო ემზადება ქორწინების აქტის გაფორმებისათვის. სულ ორი საათი-ღა დარჩა „მმაჩის" განყოფილებაში წასასვლელად დანიშნულ დრომდე. და სწორედ ამ დროს შემთხვევით შეხვედრილმა ფოსტალიონმა ბეჟიკოს გადასცა ანდროს მიერ ციცინოს მისამართით გამოგზავნილი წერილი. ბეჟიკომ შეიტყო ამ წერილიდან, რომ ანდრო მძიმეთ დაჭრილა ბრძოლის ველზე, იგი დიდხანს მოკლებული ყოფილა საშუალებას წერილი მოეწერა თავისი ციცინოსათვის. ახლა, ომგადახდილი მებრძოლი საკუთარ კერას უბრუნდება, მაგრამ მას ცალი ხელი აღარა აქვს. ამიტომ მას აღარ მიაჩნია თავი ციცინოს ქმრობის ღირსად და დაბეჯითებით ურჩევს საცოლეს—დაივიწყოს იგი და მითხოვდეს ბეჟიკოს. თავზარდამცემად იმოქმედა ამ წერილმა ბეჟიკოზე. მასში სინდისმა გაიღვიძა, იგი აღარ მივიდა ციცინოსთან საქორწინოდ დანიშნულ დროს. ანდროს დედის ხელით ბეჟიკომ ციცინოს გაუგზავნა ეს მოულოდნელი ბარათი და ამით ციცინოს სული და გული საბოლოოდ „დაუთმო" ანდროს.

მალე სოფელს დაუბრუნდა ანდროც. პირველი შეხვედრისთანავე, ციცინო და ანდრო სასწრაფოდ გაიქცნენ სოფლის საბჭოში და „ხელი მოაწერეს". ამბავი მთავრდება საქორწინო ლხინით, რომელშიაც მეტად მხიარულად მონაწილეობს ბეჟიკოც.

ეს ამბავია დრამატურგიულ ფორმით მოთხრობილი გრ. ბერძენიშვილის პიესაში „ტირიფის ქვეშ", რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ა. ბელიაშვილის ნოველების მიხედვით არის დაწერილი.

რამდენად სწორია და მართალი ამ „სიყვარულის სამკუთხედის" თავგადასავლის შემცველი ძირითადი სიტუაციები, როგორ გამოიყურებიან ამ პიესაში მთავარი პერსონაჟები, საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები? როგორია მათი ზნეობრივი სამყარო, მათი რწმენა და წარმოდგენა მეგობრობაზე, სიყვარულზე, ოჯახზე?

დავიწყოთ ციცინოდან. ის არის პიესის ცენტრალური ფიგურა, ავტორის მიერ უეჭველად დადებით გმირად მოფიქრებული. გარეგან სილამაზესთან ერთად იგი, დრამატურგის განმარტებით, დიდი შინაგანი, მორალური ღირსებებითაც უნდა იყოს აღჭურვილი. სხვაგვარად შეუძლებელია გავიგოთ ის საყოველთაო სიყვარული, პატივისცემა და მოწონება, რომლითაც გარემოცულია ციცინო.

მაგრამ ავტორის ამგვარ წარმოდგენას თავის გმირზე პირდაპირ ეწინააღმდეგება და აბათილებს ციცინოს მოქმედება.

მან ბრძოლის ველზე გაისტუმრა თავისი საყვარელი ვაჟკაცი და მას სამუდამო ერთგულების ფიცი მისცა, მართლაც გულწრფელად უყვარდა ციცინოს ანდრო. მაგრამ რა მოხდა შემდეგ? ანდროს ბარათმა დაიგვიანა და ციცინომაც გადასწყვიტა, რომ ანდრო, ალბათ, დაღუპული უნდა იყოს ბრძოლის ველზე. რატომ უნდა მისულიყო ისეთ დასკვნამდე ციცინო? განა მარტო ანდროს ბარათი იგვიანებდა? განა ასეთი შემთხვევა ერთად-ერთი იქნებოდა ციცინოსავე სოფელში? რამდენი მებრძოლის ბარათი იგვიანებს, რამდენის შესახებ თვეობით და შეიძლება ერთი ორი წლის განმავლობაშიც, სხვადასხვა სავსებით გასაგები მიზეზების გამო, არავითარი ცნობა არ მიუღიათ მათ ოჯახებს, მაგრამ დაღუპულად როდი ჩაუთვლიათ ისინი, იმედი როდი დაუკარგავთ, მოლოდინზე ხელი როდი აუღიათ. აკი ანდროს დედა, მოხუცი მარინე უკიდურესად შეწუხებული ანდროს ბარათების დაგვიანებით, მაინც არ ურიგდებოდა ანდროს დაღუპვის აზრს და როდესაც წითელი არმიის მებრძოლებისათვის ამანათს ამზადებდა, გულისხმობდა, რომ ამით იგი თავის პირმშოს წინაშეც იხდიდა დედობრივი მზრუნველობისა და სიყვარულის ვალს. რატომ არ შეეძლო ასევე მოთმინებით და მოლოდინის გრძნობით გამსჭვალულიყო ციცინო—მას, როგორც ახალგაზრდა ქალს, კულტურულ, მოწინავე, თანამედროვე ადამიანს ხომ მარინეზე უკეთ უნდა სცოდნოდა, რომ თანამედროვე ომის პირობებში შესაძლებელი და ხშირიც არის შემთხვევა, როდესაც მებრძოლი გარკვეულ პერიოდში მოკლებულია ოჯახთან მიმოწერის საშუალებას, მტრის ზურგში მოხვედრის, მძიმედ დაჭრისა თუ სხვა მიზეზის გამო.

დავუშვათ, რომ ციცინოს მოყვარულმა გულმა საშუალება წაართვა მის გონებას ფხიზლად განესაჯა შექმნილი სიტუაცია. დავეთანხმოთ ავტორს, რომ ციცინოს შეეძლო დაეჯერებინა, რომ მისი ანდრო დაღუპული უნდა იყოს, რაკი ამდენი ხნის განმავლობაში არაფერს იწერება. ასეთ შემთხვევაში რატომ უნდა წამოჭრილიყო ციცინოს წინაშე დაუყოვნებლივ გათხოვების აუცილებლობა? ხომ უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ თავისი საყვარელი ვაჟკაცის დაღუპვით დამგლოვიარებულ ქალს ერთხანს მაინც სრულიადაც აღარ ეფიქრა გათხოვებაზე. აკი არც ოჯახის ნივთიერი გაჭირვება, არც თავისი პირადი განწყობილება მას არ აიძულებდა ეფიქრა გათხოვებაზე. რატომ უნდა გაეწია მას ანგარიში მოხუც მამის ახირებულ მოთხოვნისათვის და ჭორიკანა შინაბერას პუპის რჩევისათვის ისეთს არსებითსა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიც არის გათხოვება. და კიდევაც რომ გათხოვება აუცილებელი გამხდარიყო ციცინოსათვის, რატომ მაინც და მაინც ბეჟიკოს უნდა გაჰყოლოდა იგი ცოლად, ბეჟიკოს, რომლის მეტოქეობაც ასე აღელვებდა და აწუხებდა ანდროს. ბუნებრივი და ტიპიური ის იქნებოდა, რომ ციცინოს ზიზღით ეპასუხნა ბეჟიკოსათვის, რომელიც ასე უსირცხვილოდ აპირებდა ესარგებლნა მეგობრის უგზო-უკვლოთ დაკარგვით.

ციცინოს გადაწყვეტილებას ბეჟიკოზე გათხოვების შესახებ არა აქვს არავითარი ახსნა და გამართლება. ციცინოს შეეძლო ცოლად გაჰყოლოდა ბეჟიკოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ორი წლის განმავლობაში გაუნელდებოდა ანდროსადმი სიყვარული და მისი გული ბეჟიკოსაკენ გადაიხრებოდა. ეს კი არ მომხდარა. აკი ანდროს დაბრუნებისთანავე ციცინომ პირველივე შეხვედრისას სულმოუთქმელად გაარბენია იგი სოფლის საბჭოში „ხელის მოსაწერად".

რომ ანდროს წერილს ორი საათით დაეგვიანებია, ციცინო ბეჟიკოს ცოლი გახდებოდა. რაკი ბეჟიკოსთან ქორწინებისათვის დანიშნულ დრომდე ორი საათით ადრე მოვიდა ანდროს წერილი, ციცინო ანდროს ცოლი გახდა. შემთხვევებზე ასეთი აყოლა, ასეთი თამაში სიყვარულისა და გათხოვების საკითხში ყოვლად შეუფერებელია ციცინოსათვის, თუ იგი მართლაც დადებითი გმირია და მოწინავე ადამიანი საბჭოთა სოფლისა; ხოლო თუ იგი ამდენად მსუბუქი გულისა და გონების პატრონი, ფუქსავატი გოგოა, მაშინ რაღა აზრი და მნიშვნელობა აქვს მთელ იმ დრამას, რომელიც გრ. ბერძენიშვილის პიესაშია გამოხატული?!

სრულიად გაუგებარია და ლოგიკურობას მოკლებული ბეჟიკოს საქციელიც. იგი ციცინოსადმი სიყვარულში ექიშპებოდა თავის ახლო მეგობარს ანდროს, ამაში არაფერია გასაკვირი და არაჩვეულებრივი, მან კარგად იცოდა, რომ ციცინომ ანდრო აირჩია და მას მიუძღვნა თავისი გული. ბეჟიკო, უნდა ვიფიქროთ, ერთხანს შეურიგდა თავის ასეთ „რომანიულ მარცხს", მაგრამ როგორც კი ანდროს კვალი ხანგრძლივად გაუჩინარდა, მან ახალი ძალით იწყო ზემოქმედება ციცინოზე, მისი გულის გადმობირების განზრახვით; განა ასე იქცევიან კეთილშობილი საბჭოთა ახალგაზრდა ადამიანები? განა ფრონტზე წასული მეგობრის გადაკარგვით ან დაღუპვით ამგვარად სარგებლობა შეეფერება პატიოსან და გულისხმიერ ახალგაზრდა კაცს? ეგებ ბეჟიკო იმდენად შეპყრობილი იყო ციცინოსადმი ტრფიალებით, რომ ამ გრძნობამ მას დაავიწყა მეგობრობაც, ელემენტარული ადამიანური ეთიკაც, ყოველგვარი მორალური, მოქალაქეობრივი ვალდებულებანი? თუ ეს ასეა, მაშინ ყოვლად გაუგებარი ხდება ის გარემოება, რომ ბეჟიკომ ანდროს წერილის წაკითხვისთანავე უყოყმანოდ დათმო ციცინო და კარგადაც მოილხინა ციცინოსა და ანდროს ქორწილში.

მეტი თანმიმდევრულობითა და ხასიათის მთლიანობით არის წარმოდგენილი პიესაში ანდროს სახე. მაგრამ მის საქციელშიც ბევრი რამ არის გაუგებარი და გაუმართლებელი. იგი მძიმეთ დაიჭრა ბრძოლის ველზე, ცალი ხელი დაჰკარგა და ამ ნიადაგზე მან გადასწყვიტა უარი ეთქვა ციცინოს სიყვარულზე, „დაეთმო" ციცინო და ისიც... ბეჟიკოსათვის. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანი ადვილათ დადგომოდა ასეთი კომპრომისის გზას სიყვარულის საკითხში. თუ ანდრომ, რომელსაც ასე მგზნებარედ უყვარდა ციცინო, გადაწყვიტა, რომ მათი ცოლქმრობა შეუძლებელი იქნებოდა და ბეჟიკოსათვის უნდა დაეთმო ციცინოს სული და გული, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აზრი ანდროს შეუმუშავდებოდა მწვავე შინაგანი დრამის, ხანგრძლივი ფიქრისა და თავის გულთან ბრძოლის შედეგად. როგორც იტყვიან ანდროს არსებაში „გამოტანჯული" უნდა ყოფილიყო ის გადაწყვეტილება, რომელსაც ანდრო თავის წერილში უზიარებდა ციცინოს.

და რა მოხდა შემდეგ? რატომ შეიცვალა ანდრომ თავისი ესოდენ მტკიცე გადაწყვეტილება შინ დაბრუნებისას ციცინოსთან პირველი შეხვედრისთანავე? რატომ მიაშურა მან ასე სულმოუთქმელად სოფლის საბჭოს „ხელისმოსაწერად"? ალბათ, იმ გარემოებამ, რომ ციცინოც, ამბაკოც, მეზობლებიც, მთელი სოფელიც დიდი აღტაცებით შეეგებნენ შინ დაბრუნებულ ანდროს, შეუცვალა მას გუნება და გადაწყვეტილება, მაგრამ რა იყო მოულოდნელი ანდროსათვის? რატომ უნდა ყოფილიყო წმინდა სამამულო ომში დაჭრილი გმირი მებრძოლისათვის საეჭვო, რომ მას სიყვარულით და სიხარულით დაუხვდებოდნენ თავისი მადლიერი თანამესოფლენი, მეზობლები, დედა, სატრფო? ზედმეტია ლაპარაკიც კი იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს არავითარი საფუძველი ასეთი ეჭვისათვის.

და ბოლოს, ვინ არის ციცინოს მამა. ამბაკო? როგორც პიესიდან ვხედავთ, იგი შეძლებულია, მაშასადამე, მოწინავე კოლ-

(დასასრული მე-4 გვ.)

რაიონული თეატრების დათვალიერება

ველისციხის თეატრი

ველისციხე (გურჯაანის რაიონი) დაბის ტიპის სოფელია, რომლის მოსახლეობაც ყურადღებას იქცევს შრომისმოყვარეობითა და კულტურულობით. აქაური კოლმეურნე სამართლიანი სიამაყის გრძნობით არის აღსავსე. იგი ამაყობს არა მხოლოდ იმით, რომ მის მშობლიურ სოფელს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს რაიონში სასოფლო-სამეურნეო გეგმებისა და სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების მხრივ, არამედ იმითაც, რომ მას საშუალო სკოლასთან ერთად რაიონული მნიშვნელობის საავადმყოფო და სახელმწიფო თეატრი აქვს. ველისციხელ კოლმეურნეს სიამაყის სრული უფლება აქვს, რადგან ის თვითონ არის მთავარი შემოქმედი თავისი სოფლის კულტურული აყვავებისა.

ველისციხელებმა საკუთარი ინიციატივით ააგეს თეატრის ლამაზი შენობა და თვითმოქმედი დრამატიული წრის საფუძველზე შექმნეს დღევანდელი სახელმწიფო თეატრი. ინტენსიური და დაუღალავი შრომა მინდორში ვერ ანელებდა კოლმეურნე-მსახიობის სიყვარულს თეატრისადმი. მინდვრის სამუშაოდან დაბრუნებული, იგი ხალისით იწყებდა ახალ შრომას: ამზადებდა როლს... მონაწილეობას იღებდა სპექტაკლში. ხალხიც უდიდესი თანაგრძნობით ხვდებოდა კოლმეურნე მსახიობის შემოქმედებით მუშაობას და ახალისებდა მას თავისი გულისხმიერი დამოკიდებულებით.

თხუთმეტ წელზე მეტია, რაც არსებობს ეს თეატრი. ამ ხნის განმავლობაში მან აღზარდა მაღალკულტურული მაყურებელი, როგორც ველისციხეში, ისე გურჯაანის მთელ რაიონში. სპექტაკლის დროს თეატრის დარბაზი ყოველთვის გაჭედილია სუფთად, სათეატროდ გამოწყობილი მაყურებლით.

ველისციხის თეატრი საკმაოდ მოვლილია (დირექტორი ს. ოგანოვი). მისი სპექტაკლები სამხატვრო ხელმძღვანელობისა და აქტიორთა კოლექტივის გარკვეულ კულტურასა და გემოვნებაზე მეტყველებენ (სამხ. ხელმძ. ს. მებურიშვილი). თეატრის წარმატებების ძირითად საფუძველს წარმოადგენს კოლექტივის ერთსულოვნება და შეგნებული დამოკიდებულება საქმისადმი. სამამულო ომის პერიოდში, სიძნელეების მიუხედავად, კოლექტივს ოდნავაც არ შეუნელებია მუშაობა. პირიქით, წლიურ გეგმებს ის ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა.

თეატრის კოლექტივი ყურადღებას იქცევს შემოქმედებითი მიღწევებითაც. დათვალიერების პერიოდში ვნახეთ ხუთი სპექტაკლი: „ქრისტინე", „ღალატი", „ქამთაბერის ასული", „ძუნწი" და „ალამტრახი". ამ სპექტაკლთა უმრავლესობა არის რეჟისორულად საინტერესოდ მოფიქრებული და მხატვრულად მტკიცედ შეკრული, მათში სწორად არის გაგებული და სცენიურად გამომჟღავნებული პიესის ავტორთა დედააზრი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მოლიერის „ძუნწი" (დადგმა ს. მებურიშვილისა). ეს სპექტაკლი, რეჟისორული მოფიქრებითა და აქტიორთა თამაშით, თითქმის უნაკლოა. მასში საკმაო სისრულით გამოამჟღავნეს თავიანთი შესაძლებლობანი მსახიობებმა ა. ყაზაროვმა (ჰარპაგონი), მ. მესხმა (მარიანა), თ. ტარუაშვილმა (ელიზა), ი. შერაზადიშვილმა (კლეონტი); მათს თამაშში სჩანდა უშუალობაცა და აქტიორული ტექნიკაც. როლების დანარჩენი შემსრულებელნი (ვ. მებურიშვილი, ქ. ასატუროვი, რ. ყაზაროვი, გ. მიჩიტაშვილი, გ. სოვდაგარიშვილი, ქ. გაჩეჩილაძე, ვ. ქტიაშვილი და სხვ.). საჭირო სიმაღლეზე იდგნენ და ხელს უწყობდნენ სპექტაკლის საერთო წარმატებას. დეკორატიული გაფორმებაც (მხატვ. ნ. ვერმიშევა-კილოსონიძე) გემოვნებით იყო შესრულებული.

საინტერესოა მ. ჯაფარიძის „ქამთაბერის ასულის" დადგმაც (რეჟ. გ. დარისპანიშვილი). სპექტაკლში დაკვირვებით არის დამუშავებული მიზანსცენები, ხასიათების გახსნაშიც დამოუკიდებლობა სჩანს, მაგრამ დამდგმელს მეტი დინამიურობა უნდა შეეტანა სპექტაკლში; როლების მხატვრული შესრულებით გამოირჩეოდნენ ა. ყაზაროვი (კირკიტა) და რ. ყაზაროვი (უფლისწული). ეს სპექტაკლი ახალგაზრდა მსახიობთათვის ნამდვილი გამოცდა იყო. მათს თამაშში სჩანდა ოსტატობა და ზომიერების გრძნობა. მათ მიერ შემოქმედებითი შთაგონებით შექმნილი კირკიტა და უფლისწული უაღრესად საინტერესო სცენიური სახეებია. კარგი იყო გ. სოვდაგარიშვილის ბარძიმი, ი. შერაზადიშვილის ქამთაბერი, მ. მესხის რუსუდანი. ესენი გამოცდილი მსახიობებია. მათს შესრულებაში ყოველთვის იგრძნობა პროფესიონალიზმი. დამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ როლებს ქ. მებურიშვილი, ქ. ასატუროვი, გ. მაჩიტაშვილი, მ. ხუციშვილი. ზოგიერთი ახალგაზრდა მსახიობი კი გადატვირთულია, არ არის გათვალისწინებული მათი შესაძლებლობა. ეს სხვა სპექტაკლებშიც სჩანს. დამაკმაყოფილებელია მხატვრული გაფორმება (მხატ. გ. ნიჟარაძე).

სუმბათაშვილის „ღალატი" დასადგმელად რთული პიესაა. საჭიროა დიდი დაკვირვება, უდიდესი ზომიერების გრძნობა, რომ დამდგმელი და ზოგიერთი შემსრულებელი აქა-იქ სიყალბეში არ გადავარდნენ. ეს დაკვირვება ნაკლებად იგრძნობა სარეცენზიო დადგმაში (დადგმა ს. მებურიშვილისა). სპექტაკლი არ არის საკმაოდ მონოლიტური, ხასიათების გახსნაშიც არ არის დაცული ლოგიკური თანმიმდევრობა, მსახიობთა უმრავლესობას, კვალიფიციურობის მიუხედავად, ერთხაზოვნად მიჰყავს როლები, მკაფიოდ არ იგრძნობა ფსიქოლოგიური გადასვლები ერთი განწყობილებიდან მეორეზე. სპექტაკლი ძალიან გაჭიანურებულია (გრძელდება 4-5 საათს). კოლმეურნეს, რომელიც სამუშაოდან მოსულა და მეორე დღეს კვლავ სამუშაოდ უნდა წავიდეს, გაუჭირდება მისი ნახვა. მიუხედავად ამისა, სპექტაკლი ძირითადად მაინც აკმაყოფილებს პროფესიული თეატრის გარკვეულ მოთხოვნილებას, მასში ადგილი არა აქვს უხეშ გადახვევებს.

„ქრისტინე" კომპოზიციურად შეკრული, რეჟისორულ ორგანიზაციაში მოყვანილი სპექტაკლია (დადგმა ს. მებურიშვილისა), მსახიობთა თამაში დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება ი. ტურიაშვილის „ალამტრახს" (დადგმა გ. გაბისონიასი), იგი მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას. მართალია, სპექტაკლი არ არის რეალისტურად გააზრებული, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს დადგმა, მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს კულტურული მაყურებლის მოთხოვნილება, რადგან პიესა მთლიანად სიყალბეზეა აშენებული. მისი სუჟეტი და ხასიათები ყალბია, ენა—უსუსური, დიალოგი — გამოფიტული, სიტუაციები — დამაჯერებლობას მოკლებული. რაიონული თეატრების რეპერტუარს მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. მეტი მოთხოვნილება უნდა წავუყენოთ პიესებს, რომლებიც თანამედროვე ცხოვრებას ასახავენ. სიყალბე ასეთ პიესებში ყველაზე მეტად არის შესამჩნევი. ისინი ზიანს აყენებენ თეატრებს და სცემენ მათს ავტორიტეტს მაყურებელში. ესეც რომ არ იყოს, თეატრის აღმზრდელობითი როლი გვაძულებს სასტიკად ვებრძოლოთ თეატრების დანაგვიანებას ყალბი პიესებით.

ველისციხის სახელმწიფო თეატრი ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური კოლექტივია. მას აქვს ცალკეული ნაკლოვანებები, მაგრამ, არსებითად ის კვალიფიციური პროფესიული თეატრია, რომლის სპექტაკლებიც გარკვეულ გემოვნების სიმაღლეზე დგანან. თეატრი ღირსია იმისა, რომ მესამე კატეგორიაში იქნეს გადაყვანილი. ეს მას დამსახურებული აქვს მაღალმხატვრული მუშაობით. საჭიროა აგრეთვე კოლექტივის გაძლიერება პროფესიული მსახიობებით და მეტი ოპერატიული დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაწევა.

ერ. ასტვაცატუროვი

„ფირიფის ქვეშ"

(დასასრული)

მეურნე უნდა იყოს, და საოცარია, რატომ ექცევა იგი ასე ახირებულად თავის ქალიშვილს, რატომ მოითხოვს ასე დაჟინებით ციცინოსაგან, რომ ცოლად წაჰყვეს ბეჟიკოს, რომელიც არ უყვარდა ციცინოს და ნაკლებად მოსწონდა თვით ამბაკოსაც. გათხოვების საკითხში მამის მიერ ქალზე ასეთი ძალდატანება ეგებ დამახასიათებელი იყო ძველი პატრიარქალური სოფლის ყოფა-ცხოვრებისათვის,—მაგრამ ჩვენს თანამედროვე სოფელში და ისიც მოწინავე, საუკეთესო კოლმეურნის ოჯახში ასეთი ურთიერთობა დიდ ანაქრონიზმს წარმოადგენს და ყოველ შემთხვევაში იგი არ შეიძლება ტიპიური იყოს.

როგორც ვხედავთ სუჟეტის მამოძრავებელი ძირითადი სიტუაციები მოკლებული არიან ლოგიკურობასა და ფსიქოლოგიურ სიმართლეს; მთავარ გმირებს კი ხასიათის მთლიანობა და ტიპიურობა აკლიათ; ისინი თავიანთი მოქმედებით არღვევენ ავტორის მიერ მათთვის გამზადებულ დახასიათებას, ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გვაძლევენ სწორსა და მართალ წარმოდგენას საბჭოთა ადამიანის იმ მაღალ მორალურ ღირსებათა შესახებ, რომელთა მეოხებითაც ჩვენმა სამშობლომ ესოდენ დიადი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

პიესის ეს იდეურ-შინაარსობრივი სიყალბე თავის ზეგავლენას ახდენს დრამის მხატვრულ საშუალებათა სფეროზეც. პიესის მთავარი გმირები მკრთალად და უსისხლხორცოდ გამოიყურებიან, პერსონაჟის სასაუბრო ენა პრიმიტიული და ღარიბია, სუჟეტი—გარეგნული ეფექტურობის მიუხედავად, მეტად ხელოვნურია და ნაკლებ დამარწმუნებელი.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის მიზეზები, რომლებიც, ამგვარ სერიოზულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, იწვევენ ამ პიესისადმი გარკვეულ ყურადღებას და ინტერესს. მაგრამ როგორადაც არ უნდა ავხსნათ ამ ნაწარმოების შეტანა რუსთაველის თეატრის რეპერტუარში, მაინც ცხადია, რომ შეუძლებელი იყო ასეთი პიესის ნიადაგზე ჩვენი საუკეთესო ნაციონალური თეატრის მხატვრული რეპუტაციისათვის შესაფერი სპექტაკლის შექმნა.

რეჟისორი სერგო ჭელიძე, რომელმაც თავის წინა დადგმაში („ხევისბერი გოჩა") მთელი სიცხადით გვიჩვენა უეჭველი გემოვნებაც, ფანტაზიაც, სპექტაკლის ორგანიზაციის მაღალი ოსტატობაც, სარეცენზიო წარმოდგენაში უძლური აღმოჩნდა მიეღწია მხატვრული დამაჯერებლობისა და ესთეტიური ზემოქმედების ძალისათვის. მეტად მარტივი და გაუბრალოებულია მიზანსცენები, სპექტაკლი მეორეხარისხოვან პერსონაჟთა შემსრულებელი ზოგიერთი აქტიორის მოხდენილ ნიჭიერ თამაშზე არის დამყარებული.

სწორედ მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, რომელთა ხასიათშიც სიყალბე და წინააღმდეგობანი არ გვხვდებიან, არიან საუკეთესოდ შესრულებულნი ამ სპექტაკლში.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს **დიმიტრი მჟავიას** მიერ შექმნილი მეტად კოლორიტული და ცხოველი სახე (ფოსტალიონი ბათლომე). ეს როლი მსახიობისა და მთელი თეატრის შესანიშნავ მხატვრულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. თანაბრად მაღალ ოსტატობის დონეზე დგანან და შექმნილ სახეთა ღრმა სიმართლეს და ტიპიურობას აღწევენ სირინოზისა და მარინეს როლების შემსრულებელნი **ან. სანაძე** და **ელ. დონელი.** იგივე უნდა ითქვას **თ. თუშიშვილის** შესახებ, რომელმაც მკვეთრად და მოსაწონი მხატვრული ზომიერებით განასახიერა დაბერებული ქალიშვილის პუპის როლი. მთელ რიგ ეპიზოდებში როლის ბუნებისათვის დამახასიათებელ თვისებათა სიმართლით და დამაჯერებლად გადმოცემის ძალას აღწევს **გ. წულაძე,** რომელიც ციცინოს მამის, ამბაკოს როლს ასრულებს.

სამწუხაროდ ასეთსავე მოწონებას ვერ იმსახურებენ პიესის მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობები. ახალგაზრდა მსახიობებმა **ი. ტატიშვილმა** და **მ. ურუშაძემ,** რომელთაც დაკისრებული აქვთ პიესის მთავარი გმირების—ანდროსა და ბეჟიკოს როლები,—ვერ შესძლეს მოენახათ მკაფიო გამომსახველობითი საშუალებანი თავიანთი როლების ცოცხლად და მეტყველად განსახიერებისათვის. მათ მიერ შექმნილი სახეები მცირე ზემოქმედებითი ძალით ხასიათდებიან და მალე ეძლევიან დავიწყებას მაყურებლის ცნობიერებაში.

ციცინოს როლს ასრულებს მსახიობი **თ. თეთრაძე,** მიუხედავად მისი უდავოდ ნიჭიერი თამაშისა, დრამატურგის მიერ ამ ხასიათის ყალბად დახატვის გამო, მსახიობი ხშირად ვარდება უხერხულ მდგომარეობაში და ზოგჯერ დრამატიულად განზრახული ეპიზოდების გადმოცემისას იგი სიცილს იწვევს მაყურებელთა შორის.

ნიჭიერი მსახიობი **დ. ხუციშვილი** მეტად სუსტია კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნესტორ ბურჯანაძის როლში. მთელი სპექტაკლის მანძილზე იგი არც ერთ ფრაზას არ წარმოსთქვამს დამშვიდებულად, ბუნებრივად, გამუდმებულად ყვირის და ფუსფუსებს, თითქოს ამით უნდა გადმოგვცეს ომისდროინდელი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების მაჯისცემა.

დიდ მოწონებას იმსახურებს მხატვარ კორნელი სანაძის ნამუშევარი ამ სპექტაკლში. მან ღრმა ფერადოვნებით და უტყუარი მხატვრული გრძნობით გადაგვიშალა თვალწინ დასავლეთ საქართველოს ამწვანებული სოფლის წარმტაცი სურათი—ფერდობზე შეფენილი კოხტა ოდებით, წითლად მოხახასე კრამიტის სახურავებით, დაკლაკნილი ორღობეებით და მოშიბინე ბოსტან-ეზოებით.

ზესტაფონის თეატრში

ზესტაფონის თეატრის ახლანდელი დასი 9 თვეა რაც მუშაობს. ადგილობრივი ხელისუფლება დიდ დახმარებას უწევს თეატრს, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ყველაფერი რიგზე არ არის. მსახიობების 40 პროცენტი შეთავსებით მუშაობს. ასეთ პირობებში ვერ შეიქმნება მაღალხარისხოვანი სპექტაკლები. მაგრამ ზესტაფონის თეატრმა თუ მაინც მიაღწია ერთგვარ მხატვრულ წარმატებებს, ეს, პირველ რიგში, კოლექტივის დაუღალავი მუშაობის შედეგია.

თეატრმა დათვალიერებაზე გვიჩვენა სამი სპექტაკლი: გერგელისა და ლიტოვსკის „ჩემი შვილი", ძმ. ტურებისა და შეინინის „პირისპირ" და ა. წერეთლის „კინტო".

გერგელისა და ლიტოვსკის ანტიფაშისტურმა პიესამ „ჩემმა შვილმა" თავის დროზე კარგი და სასარგებლო საქმე გააკეთა. ასევე ითქმის „პირისპირზე", რომელიც ცხრა წლის წინად დაიწერა.

ახლა ზესტაფონის თეატრს რეპერტუარში არა აქვს არც ერთი პიესა, რომელიც ასახავდეს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდს.

სპექტაკლში „ჩემი შვილი" არის რეჟისორულად კარგად მოფიქრებული სცენები (დამდგმელი ს. ახალაძე), მაგრამ ყველაფერი ეს არ არის ერთად თავმოყრილი. სპექტაკლში ხშირია პარალელური მოქმედებანი. პლაკატურია სპექტაკლის ფინალი. მუსიკალური ილუსტრაცია (მუსიკა მ. ესებუასი) გადატვირთულია და ხელს უშლის სპექტაკლის ნორმალურ მსვლელობას.

შემსრულებელთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ფ. არაბიძე, ქვრივი ესტერაგის როლში. მსახიობის მიერ როლის შესრულებას ემჩნევა გამოცდილება და კულტურა.

მსახიობი გ. თალაკვაძე გამოირჩევა დამუშავებული ხმით, ტემპერამენტით, კარგი სცენიური გარეგნობით. მაგრამ მისი პალი ესტერაგი პლაკატურია.

ანას როლში მსახ. თ. ჯაფარიძე სუსტია. დანარჩენი მსახიობები ვერ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე (გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ ი. აბაშიძე პოლიციის გამომძიებლის როლში და თ. შალამბერიძე იულიჩას როლში). ზოგიერთმა მსახიობმა ტექსტიც არ იცოდა კარგად.

სპექტაკლი „პირისპირ" (დამდგმელი ს. ახალაძე) თეატრს მეტი პასუხისმგებლობით მოუმზადებია. შემსრულებლებიდან გამოირჩეოდა ს. ახალაძე (გალკინი). ამ როლში ს. ახალაძე გვინახავს მარჯანიშვილის თეატრის სტუდიელთა სპექტაკლში. ახლა მას უფრო დაუხვეწნია და გაუღრმავებია სცენიური სახე.

გ. თალაკვაძის ლარცევი ბუნებრივი და დამაჯერებელია, მისი მოძრაობა სცენაზე შთაგონებულია. ასევე კარგია ლ. კეკელიძე ლავრენკოს როლში. ნ. ასათიანი ებრაელ მკერავ გურევიჩის ტიპიურ სახეს იძლევა. თ. ჯაფარიძის მიერ ძირითადში სწორადაა გახსნილი ადას როლი. შ. უჯმაჯურიძე (ივანოვი) სწორად ხატავს მტრის უაღრესად შენიღბულ ბუნებას.

დათვალიერებულ სპექტაკლებიდან ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ა. წერეთლის „კინტომ" (დადგმა ს. ახალაძისა). მსახიობები ბუნებრივად ასრულებდნენ როლებს. ისინი (ს. ახალაძე, გ. თალაკვაძე, თ. ჯაფარიძე, ლ. კეკელიძე, ი. აბაშიძე, ნ. ასათიანი, შ. ჩირგაძე) ამ სპექტაკლში გამოირჩეოდნენ თამაშის გულწრფელობით.

ზესტაფონის თეატრს ყველა პირობა მოეპოვება იმისათვის, რომ უახლოეს დროში იგი ერთ-ერთ მოწინავე რაიონულ თეატრად გადაიქცეს. ეს პირობები მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

გივი გოგიჩაიშვილი

„პიონერი" № 5

გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი „პიონერი" № 5.

ჟურნალში დაბეჭდილია: ანდრო თევზაძის —„გამარჯვების პარადი" (ლექსი), „დამსახურებული ჯილდო ლენინურ-სტალინურ კომკავშირს" (წერილი), „გაზეთ „პიონერსკაია პრავდის" 20 წლისთავი" (წერილი), ლ. სტურუა— ალექსანდრე წულუკიძე" (წერილი), ნინო ნაკაშიძე—„არიშკა" (ნამდვილი ამბავი), სერგო კლდიაშვილი — „ერისთავი ცოტნე" (მოთხრობა), გიორგი ქუჩიშვილი — „საზაფხულო არდადეგები" (ლექსი), „ჩვენი ქვეყნის ყვავილები" (ნარკვევი), ნიკოლოზ კანდელაკი— „თამარ მეფე" (ფურცლები საქართველოს ისტორიიდან), გივი გაჩეჩილაძე, — „სერ პატრიკ სპენსი" (თარგმანი ინგლისურიდან). გიორგი კაჭახიძე—„მამის ხმალი" (ლექსი), ჯ. კოტანელი—„სარქალა" (მოთხრობა), ლ. ტოლსტოის, ს. შანშიაშვილისა და პ. ჭანიშვილის იგავ-არაკები, კოტე ჯავრიშვილი—„გაქვავებული ტყე", „იცით რა მრავალფეროვანია სიცოცხლე?", შ. გვინჩიძე—„მითოლოგიის ლექსიკონი".

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე ნორჩ მათემატიკოსთა კუთხე, სახალისო ხატვის სავარჯიშო, რებუსი და სხვ.

ჟურნალი მხატვრულად გაფორმებულია ე. ბელეცკაიას, ს. მაისაშვილის, ს. კეცხოველის, მ. დაუშვილის და ნ. პომორცევას მიერ.

„წერილი მამას"

საბლიტგამმა გამოსცა ალეკო შენგელიას საბავშვო ლექსების წიგნი „წერილი მამას". წიგნში მოთავსებულია შემდეგი ლექსები: „წერილი მამას", „ლურჯა", „მერცხალი", „ლიანას მტრედი", „ჩემი მერცხლები", „ბელურა", „დაჭრილი ძაღლი", „თეთრი საჩუქარი", „აქაო და პატარა ხარ", „სიმღერა ნორჩი პატრიოტისა", „ხბო ნიკორა", „სამშობლოს სიყვარული", „სვეტლანა", „ოქტომბრელის სიკვდილი", „ზიზის დედოფალი", „კალმახის გადარჩენა".

წიგნის რედაქტორია ი. გრიშაშვილი. წიგნი ღირს ათი მანეთი.

პ. ბერაძე

ესოპეს იგავების გამოცემის გამო

ესოპეს ცხოვრების შესახებ საკმაოდ ბევრი უთქვამთ, მაგრამ საფიქრებელია, რომ აქედან მრავალი რამ ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს. მას სდევნიდნენ, მის წინააღმდეგ გარკვეული წრის წარმომადგენელნი ამხედრებულნი იყვნენ — მის შესახებ სხვადასხვაგვარი ბრალდება შეუთხზავთ. მაგალითად, ცნობილია ლეგენდა, ვითომცდა ესოპეს მიერ ჩადენილ ქურდობის შესახებ, მისი სიმახინჯის შესახებ და სხვ. ესოპეს, ერთის მხრივ თავს ესხმოდნენ წარჩინებულნი, ხოლო მეორეს მხრივ, მისი შემოქმედება განსაკუთრებით დაფასებული იყო საზოგადოების სწორედ დაბალი ფენების მიერ.

ესოპე ცხოვრობდა დაახლოვებით VI საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. იგი ფრიგიელი მონა ყოფილა და შემდეგ თავისუფლება მიუღია. დაახლოვებია სპარსეთის მეფეს კრეზეს, რომელსაც ესოპე საბერძნეთში გაუგზავნია თავის წარმომადგენლად. დელფოსში ჩასულ ესოპეს კონფლიქტი მოსვლია დელფოსელებთან და მათ იგი კლდიდან გადაუჩეხიათ.

აი ეს მეტისმეტად წინააღმდეგობის შემცველი თქმულება-რომანი ქმნის ჩარჩოს ესოპეს რამდენიმე იგავისათვის.

აღსანიშნავია, რომ ესოპეს ცხოვრების ამბავი ემსგავსება სემიტური წარმოშობის ეგრედწოდებულ ახიკარის რომანს. საფიქრებელია, რომ ესოპეს თავგადასავალი ამ უკანასკნელის მიხედვით არის შედგენილი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ესოპეს იგავებს გარკვეულად ემჩნევა არქილოქისებური სიმკვეთრე. ესოპე ახალი, ანტიჰომერული საზოგადოების წარმომადგენელია და ამდენად უაღრესად ბერძნული მოვლენაა, თუმცა შესაძლებელია, რომ ზოგი რამ მის იგავებში უცხო გზითაც იყოს შესული.

ესოპეს იგავები, განსაკუთრებით ათენში იყო გავრცელებული. მას ეტანებოდნენ, როგორც სასწავლო მასალას ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით. ეცნობოდნენ აგრეთვე ფილოსოფიურ სკოლებში. გავრცელებული იყო იგი, როგორც საბერძნეთში, ისე საბერძნეთის გარეთ, რასაც ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ესოპე არ ანსხვავებდა ერთმანეთისაგან ელინსა და არაელინს.

ფრიად საინტერესოა ესოპეს იგავების მნიშვნელობა ჩვენი ქართული იგავების შესწავლასთან დაკავშირებით, რაც საშუალებას მოგვცემს ამა თუ იმ არაკის გენეზისის საკითხი წამოვაყენოთ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით საკითხის ეს მხარე არ არის დამუშავებული, ამ მხრივ ერთგვარი ნაბიჯია გადადგმული ქართული ლიტერატურის მკვლევარის ს. იორდანიშვილის მიერ. მან გამოსცა ესოპეს იგავების ქართულ ხელთნაწერებში დაცული თარგმნები.

გამოცემის 40 რჩეული იგავი პირველად იბეჭდება, ხოლო დამატების სახით არის წარმოდგენილი ვენეციაში 1859 წელს გამოცემულ ესოპეს იგავთა კრებული.

წიგნს წინ უძღვის მოკლე წინასიტყვაობა, რომელშიაც რედაქტორს მოჰყავს ესოპეს მოღვაწეობისა და ცხოვრების შესახებ არსებული ცნობები.

ვერ გავიზიარებთ წარმოდგენილ ზოგიერთი ბერძნული საკუთარი სახელის გადმოცემას, მაგალითად, წინასიტყვაობის მე-5 გვ. ვკითხულობთ: „არქილოკე". უდავოა, რომ უნდა იყოს არქილოქე, ისე, როგორც — არქიპე, ქრისტე და სხვა.

შეცდომად უნდა მივიჩნიოთ ორჯერ ზედიზედ განმეორებული „დელფინელები" (გვ. 4) დელფოსელების ნაცვლად. არსებობს ქალაქი დელფოსი — აქედან, ცხადია, ამ ქალაქის მოქალაქეებს უნდა ვუწოდოთ „დელფოსელები".

განვიხილოთ თვით იგავები. პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ:

„შევიდა ოდესმე მელი ერთი სახლსა რასამე შინა სამზარეულოსა". აქ ლაპარაკია სარეპეტიციო დარბაზის შესახებ, ან მსახიობის ოთახის შესახებ, იქ მელა იპოვის მსახიობის ნიღაბს: საკმარისია გადავხედოთ ხელთნაწერებს №№ S 2409 ან H 180, ან და S 1556. იქ ხომ ყველგან ნათქვამია არა **სამზარეულოსა,** არამედ **სამღერალსა,** რაც დღევანდელი ქართულით სათამაშოს უდრის. ვინაიდან ბერძნულ დედანს უფრო ზუსტად ჩვენს მიერ დასახელებული ხელნაწერები გადმოგვცემს, ამიტომ უკეთესი იყო რედაქტორს სწორედ ეს ვარიანტი აეღო.

შეუსაბამობას აქვს ადგილი მესამე იგავის გადმოცემაში.

ამ იგავში, ბერძნული ტექსტის მიხედვით, ღორი და ძაღლი დაობენ: ძაღლი ამბობს: „ჩემზე უსწრაფეს არცერთ ოთხფეხს არ შეუძლიან მოიმშობიაროსო". ღორი უპასუხებს, „მართალია შენ სწრაფად შობ, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ შენი ლეკვები ბრმად იბადებიანო." ბოლოს იგავის ქართული თარგმანიც შესაფერისად ასკვნის: „იგავი ესე გამოაცხადებს ვითარმედ: არა ხოლო თუ **სისწრაფითა,** არამედ ყოვლითავე **სისრულითა".**

თარგმანში კი ვკითხულობთ:

„იქმნა უკვე ცილობა შორის ღორისა და ძაღლისა მრავლისათვის შვილიერებისა მათისა. ხოლო ძაღლმა თქვა: არა არს უნაყოფიერესი ჩემსა ქვეყანასა ზედა". ვგონებ, ცხადი უნდა იყოს ის უხერხულობა, რასაც აქ აზრის დამახინჯება იწვევს. იგავში **სისწრაფეზეა** ლაპარაკი და არა **სიმრავლეზე.** საჭირო იყო რედაქტორს ძველი ქართული თარგმანის ეს ხარვეზი აღენიშნა.

სრულიად შეუფერებელია მეშვიდე იგავის „თარგმანი", თუმცა რედაქტორი გვაფრთხილებს, რომ „იგავი ზ-ს თარგმანი იბეჭდება S 1039 ხელთნაწერის მიხედვით, სხვა ხელთნაწერებს თარგმანი აკლდაო". მოყვანილი თარგმანი სრულ შეუსაბამობას წარმოადგენს; გარდა იმისა, რომ იგი იგავს არ შეეფერება, თავისთავად უაზრობას შეიცავს, აი ეს თარგმანიც:

„იგავი ესე გამოაცხადებს ამას ვითარმედ მრავალ გზის ბოროტ არიან კაცთა ბოროტთა მხილებითა მათ ბოროტთათა". ხოლო ნამდვილი თარგმანი ბერძნულის მიხედვით ასეთია: „იგავი ცხადჰყოფს, რომ ხშირად ზიანი ადამიანთათვის ჭკუის სასწავლებელია". აკი თვით იგავში მოთხრობილია, რომ როცა მზარეულს ძაღლმა გული მოსტაცა, მან ასეთი სიტყვები მიაძახა: „გპოებ უკვე ძაღლო, სადაცა იქნები. შენ ესე უწყოდე, რამეთუ არა გული მოგიპარავს შენ ჩემთვის, არამედ შემოგიძინებიეს შენ ჩემთვის გული". საჭირო იყო ბერძნული ტექსტის მიხედვით ამ აშკარა გაუგებრობის გამოსწორებაც.

ზემოთმოყვანილი შენიშვნები ნათელჰყოფენ, რომ რედაქტორის წინა სიტყვაობაში (გვ. 6) მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, ვითომც „ესოპეს 40 რჩეული იგავი პროზულ ბერძნულ დედნიდან უნდა მომდინარეობდნენო", ყველა იგავის მიმართ არ შეეფერება ჭეშმარიტებას. ყოველ შემთხვევაში, საძიებელია ხელნაწერთა უფრო უძველესი ვარიანტები, ვიდრე რედაქტორს ჰქონია ხელთ. საფიქრებელია, რომ XVIII-XIX საუკუნის ხელთნაწერებს გარდა შეიძლება კიდევ სხვა მასალაც არსებობდეს.

ნაჩქარეობა ეტყობა აგრეთვე ლექსიკონის შედგენასაც. ასე, მაგალითად, **სიტყვა ლუსკუმა** განმარტებულია **კერპი** (კერპსაცავი ყუთი, გვ. 92). განმარტების პირველი სიტყვა სავსებით სწორია. ფრჩხილებში მოთავსებული ახსნა კი — შეუფერებელია. იგი გაუგებრობაზე უნდა იყოს აგებული. იქნებ რედაქტორი ფიქრობს, რომ ასეთი განმარტების საშუალებას იძლევა 33-ე იგავი? (გვ. 20). იქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ გლახა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უქმად ევედრებოდა კერპს (ლუსკუმას), ბოლოს გაბრაზდება და მიწას დაანარცხებს მას. როგორც ბერძნულშია, ხის ლუსკუმას თავი მოტყდება, იქედან გადმოსცვივა ვიღაცას მიერ მასში დამალული ოქროები. რა თქმა უნდა, გლახას ხელთ რომ რაიმე დახურული ყუთი ჰქონოდა, იგი არ დააყოვნებდა მის გახსნას. ისიც ცხადია, რომ ოქროებიანი ლუსკუმა-კერპი შემთხვევით მოხვდა მას ხელში.

რედაქტორს მიზნად ჰქონია ფართო საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ესოპეს იგავების არსებული, ქართულ ხელთნაწერებში დაცული თარგმანები, თუმცა მას ეს გაუკეთებია შესაფერისი კრიტიკული აპარატის გამოყენების გარეშე, თარგმანის აშკარა ხარვეზები ბერძნული დედნის მიხედვით არ შეუსწორებია, მაგრამ მაინც ამ გამოცემას შეუძლია ერთგვარი ინტერესი აღძრას ესოპეს მიმართ და ეს ინტერესი რამდენიმედ დააკმაყოფილოს კიდეც.

ს. იორდანიშვილს სასარგებლო საქმე გაუკეთებია და ახლა საჭიროა შემდეგი მუშაობა ესოპეს იგავების ქართულ თარგმანთა კიდევ უფრო ღრმად შესწავლისათვის.

---

*) ესოპე—„იგავები". „საბჭოთა მწერლის" გამოცემა.



ძველ თბილისში. ნახ. მხატ. დ. კაკაბაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონა კურდღლით. სურათი მხატვ. მ. მეტრეველისა.

საზღვარგარეთ

„ათასი ნორვეგიული ხომალდი"

ცნობილი ნორვეგიელი მწერალი ქალის ლიზე ლინდბეკის წიგნმა — „ათასი ნორვეგიული ხომალდი" — მთელი მსოფლიოს მოწინავე მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ავტორი დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური მონაწილეა, მის შესახებ მარტინ ანდერსენ ნექსემ სთქვა:

„იგი ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც სწერენ ომის ისტორიას არა მხოლოდ ომის დროს, არამედ უშუალოდ ბრძოლის ველზე".

ხსენებულ წიგნში ავტორმა გვიამბო მამაცი ნორვეგიელ მეზღვაურთა გმირული ბრძოლის შესახებ. ცნობილია, რომ ზღვა და ნორვეგიელი ერთიმეორისაგან განუყრელი ცნებებია; დაახლოებით 40 ათასი ნორვეგიელი მეზღვაური მუდმივად ზღვაზე იმყოფება.

როდესაც 1940 წლის 9 აპრილს გერმანელებმა ნორვეგია დაიპყრეს, ნორვეგიული გემების მხოლოდ 15 პროცენტი იმყოფებოდა ნორვეგიის წყლებში. დანარჩენი 1.200 გემი გაფანტული იყო მთელი მსოფლიოს ზღვების სივრცეებზე.

გერმანელებმა სცადეს ნორვეგიელი მეზღვაურები შეეცდინათ, დაებრუნებინათ ისინი გემებითურთ ნორვეგიაში და ამრიგად მთელი ფლოტი ხელში ჩაეგდოთ. რამდენიმე თვის განმავლობაში ისინი რადიოთი მოუწოდებდნენ ნორვეგიელ მეზღვაურებს დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, ანდა ხომალდები მიეყვანათ ღერძის ქვეყნების რომელიმე ნავსადგურში. ამასთან ისინი ჰპირდებოდნენ ეკიპაჟს აუარებელ ჯილდოებს. მაგრამ დამპყრობელთა მოწოდებები ამაო იყო, არავინ არ დაბრუნდა; ნორვეგიელმა მეზღვაურებმა მოკავშირეთა პორტებს მიაშურეს და ამრიგად გახდნენ თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილენი.

ომის წლებში ნორვეგიელმა მეზღვაურებმა მრავალი მამაცური საქმით უკვდავჰყვეს თავის სახელი. მათ გადაჰყავდათ მოკავშირეთა ჯარები, ამარაგებდნენ მოკავშირეებს საწვავით, სამხედრო საჭურველით, სურსათით. ისინი ბადრაგობდნენ მურმანსკში მიმავალ ტრანსპორტებს. ისინი მონაწილეობდნენ დიუნკერკისა და კრიტის ევაკუაციაში, მადაგასკარის და კასაბლანკას აღებაში.

1944 წლის იანვრისათვის ნორვეგიელებმა დაჰკარგეს დაახლოვებით 500 გემი, ამასთან ერთად სამი ათასი მეზღვაური ბრძოლაში დაიღუპა.

ამ ბრძოლების შესახებ მოგვითხრობს ლიზე ლინდბეკის წიგნი. მასში შეკრებილია დოკუმენტები, ამონაწერები სახომალდო ჟურნალებიდან, დღიურები, მეზღვაურთა მოგონებანი. სადად და მართლადაა მოთხრობილი წიგნში მტრის წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის ეპიზოდები. ავტორი მოგვითხრობს ნორვეგიელთა გმირობაზე, მეგობრობაზე, მტრისადმი სიძულვილზე. ეს წიგნი წარმტაცი რომანივით იკითხება.

იუგოსლავიური ლიტერატურა

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, თავისუფლებისმოყვარე ევროპის ხალხთან ერთად ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა იუგოსლავიის ხალხიც. ეს ბრძოლა ნათლად აისახა იუგოსლავიურ მწერლობაში. იგი თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის ბრწყინვალე ფურცლებს სწერდა ომის მძიმე დღეებში.

იუგოსლავიაში არსებობდა არალეგალური და პარტიზანთა სტამბები, სადაც იბეჭდებოდა მებრძოლი ლიტერატურა, გამომხატველი თავისუფლებისმოყვარე იუგოსლავი ხალხის მისწრაფებისა.

ფაშისტური გერმანიის განადგურების შემდეგ, როცა წითელი არმიის დახმარებით განთავისუფლდა იუგოსლავი ხალხი, იუგოსლავიაში დაიწყო აღდგენა და განვითარება კულტურისა და ლიტერატურისა, მნიშვნელოვანი ტირაჟებით გამოდის ახალი წიგნები. უკანასკნელ პერიოდში გამოცემული იქნა: ვლადიმერ დედიერის „პარტიზანთა სტამბა", რ. ჩოლაკოვიჩის „პარტიზანის დღიურიდან". ჯილას პოპოვიჩის, ზოგოვიჩისა და სხვ. პატარა მოთხრობების კრებული „ხალხის გული" და კრებული „შეუსვენებლად".

ყველა ეს წიგნი ასახავს იუგოსლავ პარტიზანთა და იუგოსლაველი ახალგაზრდობის სასახელო ბრძოლას გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

„გზა დასავლეთისაკენ"

ამ სახელწოდებით 1945 წელს ინგლისში გამოვიდა საბჭოთა პოეტების ლექსების კრებული. იგი შეადგინეს ალან მორეი უილიმსმა და ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორმა ვივიენ დე-სოლა პინტომ. მათვე ეკუთვნით ლექსების თარგმანები.

კრებულში შეტანილია სამი განყოფილება, თითოეული მათგანი ასახავს სამამულო ომის ცალკე ეტაპებს. პირველ განყოფილებას ეწოდება „ცეცხლიანი წელი", მეორეს—„შურს ვიძიებთ", მესამეს—„გზები დასავლეთისაკენ მიდიან".

კრებული იხსნება ორი ლექსით, რომლებიც მთარგმნელთა კალამს ეკუთვნის. პირველია „ბრიტანეთი—საბჭოთა რუსეთს" ვ. დე-სოლა პინტოსი (დაწერილი 1941 წლის ოქტომბერში). მეორე—„საბჭოთა კავშირის სამხედრო პოეტებს" ალან მორეი უილიმსისა.

სარედაქციო კოლეგია:
ო. იგაძე, გ. ნატროშვილი (პ. მგ. რედაქტორი), შ. რადიანი,
გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჟიაურელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა, № 18. ტელეფონი 3-47-10. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი".

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 07335